დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით ჩივაძე

წევრები:

ნესტან გიგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
აკაკი სადუნიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225065345

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბაღდათის მუნიციპალიტეტი. სოფელი პირველი ობჩა
ფაქტობრივი მისამართი	ბაღდათი. პირველი ობჩა
საფოსტო ინდექსი	1000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	getsadzePirveliObcha@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 26 0000382737; 31/03/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 30 აპრილი და 01 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი. სოფელი პირველი ობჩა. (ერთი შენობა ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებო საფეხური	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი. სოფელი პირველი ობჩა. (ერთი შენობა ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებო პროგრამა	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი. სოფელი პირველი ობჩა. (ერთი შენობა ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში, 2026 წლის 30 აპრილს და 01 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის განხორციელებამდე, ექპერტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეადგინეს დღის წესრიგი, რომელიც სკოლას წინასწარ ეცნობა.

შეფასების პროცესი განხორციელდა შერეული ფორმატით: ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები სკოლაში ფიზიკურად გამოცხადდნენ, ადგილზე დაათვალიერეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საგნობრივი ექსპერტები შეფასების პროცესში ონლაინ, Teams პლატფორმის გამოყენებით ჩაერთნენ. მათ დეტალურად შეაფასეს ცალკეული საგნის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმები და სხვა დოკუმენტები, ჩაატარეს გასაუბრებები პედაგოგებთან / კათედრის წევრებთან.

ვიზიტის მსვლელობის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტი სრულყოფილად შეამოწმა. დოკუმენტური ბაზის შესწავლის პარალელურად ჩატარდა მიზნობრივი ინტერვიუები დირექციასთან, საგნობრივ კათედრებთან, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, სკოლაში დასაქმებული სხვა პირებთან. გასაუბრების პროცესში განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული დაგეგმვა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მოსწავლეთა უფლებები და მათზე მორგებული მხარდამჭერი სერვისები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები და სხვა.

ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, კოლეგიალურ მშვიდ ვითარებაში. სამუშაო პროცესის დასკვნით ეტაპზე ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ინფორმაცია შემოწმების შედეგად გამოკვეთილი მნიშვნელოვანი მიგნებების შესახებ

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
		230

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: **230** (ორას ოცდაათი)	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 1.2.1.2	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის 15 სექტემბრისა,** უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ.*
ინდიკატორი N 1.2.1.3	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის 15 სექტემბრისა** უზრუნველყოს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება სამეურვეოს საბჭოს მიერ.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.1.1.	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის 01 ივლისისა,** უზრუნველყოს „სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში“ მასწავლებლის, ცეცხლფარეშის ფუნქცია-მოვალეობების აღწერა.*
ინდიკატორი N 3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის 01 სექტემბრისა** უზრუნველყოს თანამშრომელთა პირად საქმეებში ყველა სავალდებულო ცნობის წარმოდგენა (ხუთი ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და ხუთი ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ).*
ინდიკატორი N 3.1.2.4	*კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის 01 სექტემბრისა** მუსიკისა და ინგლისური ენის ყველა საგაკვეთილო საათის ჩატარება განუსაზღვროს იმ პედაგოგებს,*

	მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*რომელთაც აღნიშნული მიმართულებით დადასტურებული აქვთ საგნობრივი კომპეტენცია.*
ინდიკატორი N 3.4.1.1	*უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის 10 თებერვლისა,** უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადება და უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან შეთანხმება.* *სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის 25 მაისისა,** უზრუნველყოს ვიდეოსათვალთვალო სისტემის მიერ სკოლის დერეფნებს, ღია სივრცეებს, გარე პერიმეტრის სრულად დაფარვა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.*
ინდიკატორი N 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	• *სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის 30 მაისისა,** უზრუნველყოს შენობის შიდა აზომვითი ნახაზის მონაცემების რეესტრში ასახვა, სკოლის საკადასტრო მონაცემების, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.* • *სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის 30 მაისისა,** უზრუნველყოს საკლასო ოთახების ინდივიდუალური მერხებით აღჭურვა, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" გათვალისწინებით.* • *სკოლამ, არაუგვიანეს, **2027 წლის 30 მაისისა,** უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში (ქიმიის ლაბორატორია) ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის, გამწოვი*

		კარადის, ხელსაბანის მოწყობა; ასევე სასწავლო-ლაბორატორიული რესურსის რევიზია და განახლება. • *სკოლამ, არაუგვიანეს **2028 წლის 30 მაისისა**, უზრუნველყოს სკოლის ეზოში განთავსებული სამი დაზიანებული, უფუნქციო დამხმარე ნაგებობის საერთო სარგებლობის სივრცისგან იზოლირება, აღნიშნული ნაგებობების საბოლოო სტატუსის განსაზღვრამდე.* • *სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის 30 მაისისა,** უზრუნველყოს სკოლის უკანა პერიმეტრის დამცავი ღობის გამართვა, სასკოლო სივრცის მიმდებარე ტერიტორიიდან იზოლირების მიზნით.*
ინდიკატორი N 3.6.1.1	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2028 წლის 01 ივნისისა,** აღჭურვოს დაწესებულება საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N 572 გრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N 3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2028 წლის 16 თებერვლისა,** დაამონტაჟოს სართულების (პირველი, მეორე, მესამე სართული) დამაკავშირებელი ლიფტი ან კიბე-ამწე, შესაბამისი საჭიროების მქონე პირების გადაადგილების უზრუნველსაყოფად.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

	(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.3	*მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*მიზანშეწონილია, რომ სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგის დამტკიცება წინ უსწრებდეს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესს; ასევე, სასურველია მოხდეს ღირებულებების შესწორება.*
ინდიკატორი N 1.1.1.5	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლამ მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიულ გეგმასა და სკოლის საჯარო გვერდზე ერთგვაროვანი ფორმით ასახოს;*
ინდიკატორი N 1.2.1.1	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შეიტანოს ცვლილება „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის წესში.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N 3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.*
ინდიკატორი N 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლამ „პერსონალის მართვის პოლიტიკაში“ ასახოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული სავალდებულო ცნობები (ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ)*
ინდიკატორი N 3.4.1.1	*უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*
ინდიკატორი N 3.4.1.4	*სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს*	*მიზანშეწონილია, რომ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.*
ინდიკატორი N 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*მიზანშეწონილია, გონივრულ ვადებში განხორციელდეს შენობის კომპლექსური სარეაბილიტაციო სამუშაოები.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***

ინდიკატორი N 4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად*	*მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშაოს რემედიაციის დებულება*
ინდიკატორი N 4.2.2.1	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის*	*მიზანშეწონილია, სკოლამ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნები გაწეროს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.*

სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი*** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***რჩევა***
ინდიკატორი 2.1.2.1. *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასურველია უფრო მრავალფეროვნად იყოს წარმოადგინოთ შემოქმედებითი დავალებები*
	ესთეტიკური აღზრდა (დაწყებითი, საბაზო საფეხური)	*დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და შინაარსი; დაწყებით და საბაზო საფეხურზე დაზუსტდეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და მოხდეს არსებული რესურსების კიდევ უფრო მრავალფეროვანი გამოყენება.*
	სახელმწიფო ენა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	*სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის (მაგალითად, მე-5, მე-7, მე-10, მე-11 კლასის) კურიკულუმი,რათა სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში მიუთითოთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფარგლებში.*

ინდიკატორი 2.1.2.2. *კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (საშუალო საფეხური)*	*სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე ძირითადი საგნების კურიკულუმებთან ერთად წარმოადგინოთ კურიკულუმები შემდეგ არჩევით საგნებში: ბიოსამედიცინო და ასტრონომია.*
	საზოგადოებრივი მეცნიერებები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	*კურიკულუმების შემუშავების პროცესში გარკვეულ შემთხვევებში კონტექსტ მაგალითები საჭიროებს შეცვლასა და დახვეწას. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ სამიზნე ცნებები, საკითხები და ქვესაკითხები კიდევ უფრო მეტად სრულყოფილად იყოს თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და დაემიზნოს მათ , კერძოდ ცნებები დაეფუძნოს საგნობრივ სტანდარტებს : მაგ- საგან : „მე და საზოგადოება“, „გეოგრაფია“ და „მოქალაქეობა“*
	უცხოური ენები *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია სამომავლოდ ორივე უცხოური ენის კურიკულუმები შემუშავდეს შემდეგი რჩევების გათვალისწინებით:* *1. უმჯობესია კურიკულუმის ჩარჩოში ყველა გრაფა იყოს შევსებული;* *2. ორივე უცხოურ ენასთან მიმართებით სამივე საფეხურის კურიკულუმში ყველა ეროვნულის სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემის ფარგლებში განისაზღვროს შემოქმედებითი პროდუქტი (ყველა თემის ფარგლებში არ არის);* *3. ინგლისური ენის V, VI, VII და X კლასისა და გერმანული ენის VII-X კლასის კურიკულუმების ყველა თემაში სამიზნე ცნებების ფორმულირება მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;* *4. გადაიხედოს უცხოური ენის კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებითი/კომპლექსური ტიპის დავალების პირობა, რათა მისი*

		ფორმულირება მეტად მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და წარმოაჩენდეს პროექტის ძირითად ჩანაფიქრს, მოსწავლის საქმიანობასა და მოსალოდნელ საბოლოო პროდუქტს, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს როგორც დავალების მიზნის უკეთ გააზრებას, ისე სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას.
	ესთეტიკური აღზრდა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*ესთეტიკური განათლების მიმართულებით დაიგეგმოს და გაიწეროს ისეთი აქტივობები, რომლებიც სასწავლო პროცესში პედაგოგებს მისცემს შესაძლებლობას, ეროვნული მიზნების შესრულებასთან ერთად, ეფექტიანად მოახდინონ ადგილობრივი კულტურის ინტეგრირებაც.*
	სახელმწიფო ენა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე.*
	მათემატიკა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა, სრულყოფილად შეავსონ ყველა კლასის კურიკულუმი, ჩააშენონ მათში კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები.*
ინდიკატორი 2.1.2.3 *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს*	*უცხოური ენები* *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*1. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. თემასთან და შემოქმედებით პროდუქტთან მიმართებით რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, სასურველია, აუდიო-ვიდეო მასალის მითითება შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.* *2. ასევე მნიშვნელოვანია, თითოეული რესურსის შინაარსობრივი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ზუსტი შესაბამისობა*

მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას		*კონკრეტულ თემებთან, სასწავლო საკითხებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან.*
	სახელმწიფო ენა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	*სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა, რომლებიც შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ასევე, მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში.*
	სპორტი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	*სასწავლო პროცესის კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვისა და კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია დაწყებით საფეხურზე, კერძოდ პირველი კლასის კურიკულუმს დაემატოს რესურსების დეტალური ჩამონათვალი. რესურსების შერჩევისას მნიშვნელოვანია მრავალფეროვნება, რაც დაეხმარება მოსწავლეებს როგორც პრაქტიკული უნარების ათვისებაში, ისე თეორიული მასალის გააზრებაში*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღვროს დასახელება, სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.*
ინდიკატორი 2.1.2.4.	*ესთეტიკური აღზრდა.*	*მოქნილი, მოსწავლეზე მეტად მორგებული ისგ-ს შექმნა, სადაც ნათლად გამოჩნდება თემის ფარგლებში დასამუშავებელი აქტივობები.*

სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	*(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკების შექმნა; შუალედური მიზნების სწორად განსაზღვრა და მუდმივი თანამშრომლობა სხვა საგნების პედაგოგებთან და მშობლებთან.*
	სახელმწიფო ენა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	*შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული/ან და ინკლუზიური მიდგომები.*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*დაწყებითი საფეხურის I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება)საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.*
ინდიკატორი 2.1.2.5. *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (დაწყებითი საფეხური)*	*სასურველია V-VI კლასის ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო კათედრასთან და გაიზიარონ კოლეგების გამოცდილება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას.*
	საზოგადოებრივი მეცნიერებები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	*მიზანშეწონილია, შეფასების პროცესი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. ასევე სასურველია, შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ასახავდეს ესგ-ის მოთხოვნებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების ფარგლებში გაძლიერდეს ისეთი უკუკავშირი, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებასა და სასწავლო მიზნების ეტაპობრივ მიღწევაში.*
	ესთეტიკური აღზრდა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	*გამრავალფეროვნდეს არსებული და ყველა თემისა და საკითხის ფარგლებში შეიქმნას შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების საგნებში.*

	სახელმწიფო ენა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (შემოქმედებითი /შემოქმედებითი ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*
	მათემატიკა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვს,რომლებიც ნიმუშის სახით წარმოადგინეს.*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების ან/და საკითხების/ქვესაკითხებთან მიმართებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
ინდიკატორი 2..2.1.1 *სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (დაწყებითი, საბაზო , საშუალო საფეხური)*	*სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს კურიკულუმებში საათების რაოდენობის მითითებას.*
	ესთეტიკური აღზრდა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	***სასურველია,*** *სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში.*

კურიკულუმის შესაბამისად		***სასურველია,*** *ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. მუსიკალური ფოლკლორისა და ღირსშესანიშნაობების, ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცებას.* ***სოფლის*** *სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა.* ***სასურველია,*** *მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები).* ***სასურველია,*** *სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს.*
ინდიკატორი 2.2.1.3. *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*1. მოსწავლის ნაშრომის შეფასებისას უფრო ნათლად და გამოკვეთილად იყოს წარმოდგენილი არა მხოლოდ მიღწეული შედეგები, არამედ ის შედეგებიც, რომლებიც მოსწავლემ უკვე დაძლია და რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს განვითარებას.* *2. მიღწეული შედეგების შემდგომი განვითარების მიზნით, მოსწავლეებს რჩევის სახით შეიძლება შესთავაზონ მიზნობრივი და პრაქტიკული აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესებაში*
	უცხოური ენები *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია, უცხოურ ენების კურიკულუმში განსაზღვრული ყველა შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკა წინასწარ შემუშავდეს და თანდართული იყოს მეტი თვალსაჩინოებისთვის.*
	ესთეტიკური აღზრდა.	▪ ***სასურველია,*** *შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად,*

	(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	*მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება.* ▪ ***სასურველია,*** *შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის.* ▪ ***სასურველია,*** *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს.*
ინდიკატორი 2.2.2.1. *კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*ესთეტიკური აღზრდა* *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	***სასურველია,*** *ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად.* ***სასურველია,*** *ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით.* ***სასურველია,*** *კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ: ადგილობრივი ფოლკლორი, სოფლის მეურნეობა, ღირსშესანიშნაობები, ტრადიციები და რიტუალები) შესაბამისი თემები.*
	უცხოური ენები *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია სამივე საფეხურზე, ორივე უცხოური ენის შემთხვევაში, ყველა კლასის ყველა კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს ელექტრონული თუ მატერიალური (ბეჭდური, ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები; საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები; მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და ა.შ.) რესურსების მრავალფეროვნება მოცემული საკითხების შესაბამისად.*

	სახელმწიფო ენა. *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია, სკოლამ კურიკულუმში ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს), რათა მოხდეს სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება.*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეივსოს დამატებითი რესურსებით: კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები . სასურველია, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.*
ინდიკატორი 2.2.2.2. *სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*ესთეტიკური აღზრდა* *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	▪ *მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, **სასურველია** მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.* ▪ ***სასურველია,** სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არასანდო მასალის გამოყენება.* ▪ ***სასურველია,** შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული გაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები.* ▪ *დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს*

		უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას.
	სახელმწიფო ენა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია, კათედრის დონეზე დამხმარე რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის კიდევ უფრო გაძლიერება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი დამატებითი მასალა გადიოდეს ვალიდაციას (შესაბამისობა ესგ-სთან, მეცნიერული სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა გარანტირებული იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ*
ინდიკატორი 2.2.2.3. *კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* *(საბაზო, საშუალო საფეხური)*	*დაიცავით უსაფრთხოების წესები ლაბორატორიაში*
	ესთეტიკური აღზრდა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	▪ ***სასურველია****, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება.* *მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე.*

რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით		***სასურველია,*** *გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე.* *მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს.* ***სასურველია,*** *ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის.* *სკოლაში ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სწავლებისას, კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, მთლიანობაში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს მიზნობრივი, პრაქტიკული და მოტივირებულ სწავლისთვის, თუმცა განვითარებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია რესურსების რეგულარული განახლება და ტექნოლოგიების ინტეგრაცია*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც წარმოდგენილი იქნა სკოლის მიერ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე დასკვნაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ:
პირველ სტანდარტში, გამოვლენილი შეუსაბამობის საპასუხოდ, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებას უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭო, არა უგვიანეს 2026 წლის 15 სექტემბრისა. ინდიკატორები 1.2.1.2 და 1.2.1.3 განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში. აქედან გამომდინარე, პირველი სტანდარტი განისაზღვრა შესაბამისობაში.
მესამე სტანდარტში, ინდიკატორი 3.1.1.1 განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში, რადგან სკოლა სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციებს მკაფიოდ განსაზღვრავს, არა უგვიანეს 2026 წლის 01 ივლისისა; ინდიკატორი 3.1.2.3 განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში, რადგან დასაქმებული პირები სავალდებულო ცნობებს სრულად წარმოადგენენ არაუგვიანეს 2026 წლის 01 სეტემბრისა; ინდიკატორ 3.1.2.4-ით გათვალისწინებულ, კადრების კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს სკოლა შეასრულებს არა უგვიანეს 2026 წლის 01 სექტემბრისა, ამიტომ აღნიშნული ინდიკატორი განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში; სკოლა, გარე და შიდა სივრცეების სრულად დაფარვას ვიდეოსათვალთვალო სისტემით უზურნველყოფს არაუგვიანეს 2027 წლის 25 მაისისა, აღნიშნული ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია; ინდიკატორი 3.5.1.1 გათვალისწინებულ მოთხოვნებს სკოლა დაასრულებას არაუგვიანეს 2028 წლის 30 მაისის და ის ნაწილობრივ შესაბამისობაშია; სასწავლო პროცესისთვის საჭირო კომპიუტერების შეძენას სკოლა უზურნველყოფს 2028 წლის 01 ივნისისა, ინდიკატორი 3.6.1.1 განისაზღვრა ნაწილობრივ შესაბამისობაში. მთლიანობაში, მესამე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც თანხმობაში მოდის ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მისიაა დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. შესძინოს მას თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება, განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა. შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი თვისებებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და გასავითარებლად. ასევე, დაეხმაროს მას მომავალი განვითარების გზის არჩევაში. იზრუნოს პედაგოგთა საქმიანობის ხარისხობრივ ზრდაზე. წარმოდგენილი მომავლის ხედვის მიხედვით, სკოლა მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით, ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის წარმატებას, აღჭურვოს ის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით. სკოლა უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას. სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს დაიკმაყოფილოს და განივითაროს პიროვნული მისწრაფებები.

ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი მისიისა და ხედვის მიხედვით, სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დამკვიდრებას და მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარების ხელშეწყობას; ქმნის სათანადო პირობებს მოსწავლის ინტელექტუალური, ფიზიკური სულიერი შესაძლებლობების გამოსავლენად და გასავითარებლად; დაწესებულება ორიენტირებულია თვითრეალიზაციისთვის საჭირო

ცოდნისა და ცნობიერების შეძენაზე და უზრუნველყოფს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სადაც მოსწავლე პიროვნული მისწრაფებების დაკმაყოფილებას შეძლებს. მისიისა და ხედვის მიხედვით, სკოლას მინიჭებული აქვს სოციო-კულტურული ფუნქცია, რაც გულისხმობს, რომ ზრუნავს მოსწავლეებში კულტურულ ფასეულობათა, ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართ პატივისცემის დანერგვაზე; მიზნად ისახავს, რომ მოსწავლე აღჭურვოს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით; წარმატების მიღწევის მიზნით, სკოლა აუცილებლად მიიჩნევს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობების განაწილებას, რათა უზრუნველყოს ისეთი სასკოლო გარემოს ორგანიზება, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს პიროვნული მისწრაფებების განვითარებას და დაკმაყოფილებას.

ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს გუნდური მუშაობის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს სკოლის განვითარების შესახებ გამოხატონ საკუთარი მოსაზრება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია დირექტორი, ხოლო პროცესის ადმინისტრირებას ახდენს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფში შედიან დირექტორი, საგნობრივი კათედრების წარმომადგენელი პედაგოგები, ექთანი, სპეცმასწავლებელი, მშობელი, რაც ნიშნავს იმას, რომე სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების გამომხატველია.

რაც შეეხება, სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და განხილვის პროცესს, მასში ჩართული იყო სკოლის სტრუქტურული ერთეულები. ისინი ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2026 წლის იანვარში, როდესაც მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლას შემუშავებული ჰქონდა.

სტრატეგიულ გეგმაში ასახულია სკოლის ღირებულებები: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა კომუნიკაცია, დროსა და სივრცეში ორიენტირება, ეთიკა, კვლევა, სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა. ისინი მეტწილად ჩამოყალიბებულია უნარების ფორმით.

რჩევა: მიზანშეწონილია, სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგის დამტკიცება წინ უსწრებდეს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესს; ასევე, სასურველია მოხდეს ღირებულებების შესწორება.

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა განიხილება როგორც თანამონაწილეობითი პროცესი, რაც უზრუნველყოფს, მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობას; პირველადი ვერსიის შემუშავების შემდეგ მისია და ხედვა უნდა გასაჯაროვდეს, რათა სასკოლო საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება გამოთქვან მოსაზრებები და გაიზიაროს უკუკავშირი. გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წინაშე ღია პრეზენტაციის მოწყობა, რომლის დასწრების შესაძლებლობა ექნებათ სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირს და მოწვეულ პირებს ან ორგანიზაციებს. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც ნიშნავს იმას, რომ შემუშავებულია/ განხილულია დირექტორის თანამონაწილეობით და სკოლის კოლეგიური ორგანოების ჩართულობით. სასკოლო საზოგადებისთვის მისია ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია ელექტრონული და მატერიალური სახით.

ინდიკატორი 1.1.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელი მიხედვით, მისია ხედვა და ღირებულებები გაზიარებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის გვერდზე (სკოლების პორტალზე), სტრატეგიულ გეგმაში, სასკოლო სასაწავლო გეგმაში; ასევე მატერიალურად გამოკრულია სკოლის საინფორმაციო სივრცეში თვალსაჩინო ადგილას. აღსანიშნავია, რომ მისია, ხედვა და ღირებულებების სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიული გეგმასა და სკოლის გვერდზე (skolebi.emis,ge) გვხვდება განსხვავებული ფორმულირებით.

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლამ მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიულ გეგმასა და სკოლის საჯარო გვერდზე ერთგვაროვანი ფორმით ასახოს;

ინდიკატორი 1.1.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. დაწესებულებას გიორგი გეწაძის სახელი მიენიჭა 2002 წელს, განათლების სამინისტროს თანხმობით. სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების №2 დანართის შესაბამისად; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდებას - სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი 1.1.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქართველოს განათლების სამინისტროს წერილი, 08.04.2002 წ.*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 10.06.2013*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით, N2-02; 16.01.2026)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ. წ.*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურებს და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სტრუქტურასა და ძირითად მიდგომებს, შესრულების მონიტორინგისა და შეფასების საკითხებს, პროცედურის განხორციელების წესებს, გეგმების მომზადების, განხილვის, დამტკიცების საკითხებს და ა. შ. სტრატეგიული დაგეგმვა დაფუძნებულია შემდეგ სამოქმედო პრინციპებზე: გუნდურობა, თანამონაწილეობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა; სტრატეგიული დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული არის დირექტორი, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი. მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული განვითარების გეგმა, უნდა იყოს რეალისტური და ეფუძნებოდეს სიტუაციური გამოწვევებსა და ანალიზს. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები, საერთაშორისო სტანდარტები, საკანონმდებლო და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალიწინებული მოთხოვნები და ა. შ. სტრატეგიული დაგეგმვა ითვალისწინებს SWOT ანალიზის მექანიზმების გამოყენებას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრაზე, ეფუძნებოდეს არსებული ძლიერ მხარეებსა და შესაძლებლობების გაძლიერებას, ითვალისწინებდეს არსებულ რისკებს. აღნიშნული სამოქმედო პრინციპების, პროცედურებისა და მექანიზმების გამოყენებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებას უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭო.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, მაგრამ დოკუმენტში აღნიშნულია (მუხლი 13), რომ მას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ შეიტანოს ცვლილება „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის წესში.

ინდიკატორი 1.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2025 -2032 წლებს. გეგმა შედგება ოთხი მსხვილი მიზნისაგან: 1. სასწავლო სააღმზრდელო პროცესების განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად; 2. სკოლის მატერიალური - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 3. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და განვითარება; 4. მშობელთა ჩართულობა სასწავლო - აღმზრდელობით პროცესში. გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა ორიენტირებულია სკოლის მიერ შემუშავებულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებზე. მაგალითად, სკოლის მისიაა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დამკვიდრება; სკოლის გრძელვადიანი მიზნები, როგორიცაა სასწავლო სააღმზრდელო პროცესების დამკვიდრება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და განვითარება თანხვედრაშია სკოლის მიერ განცხადებულ მისიასთან. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული არის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2025 წლის 5 სექტემბერს, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან 2025 წლის 6 სექტემბერს. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს № 785 ბრძანების მიხედვით, სკოლის განვითარების სტრატეგიას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი საჭიროებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებას. აღსანიშნავია, რომ „სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" დოკუმენტი 2026 წლის იანვარშია დამტკიცებული.

გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არ არის დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ. გეგმის თანახმად, **2026 წლის** 25 მაისიდან **15 სექტემბრამდე** პერიოდში სკოლის სამეურვეო საბჭო დაამტკიცებს სტრატეგიულ გეგმას.

ინდიკატორი 1.2.1.2 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნების რელიზების ინსტრუმენტს. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, 2025 -2026 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა ორიენტირებულია შემდეგი მიზნების მიღწევაზე: სასწავლო სააღმზრდელო პროცესების განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად; სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესება; სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმა საშუალო ვადიან პერიოდში დაგეგმილი აქტივობების აღმწერი დოკუმენტია, რომელსაც ყოველი წლის დასაწყისში ამტკიცებს სამეურვეო საბჭო; აღნიშნული კოლეგიური ორგანოსთვის უნდა მოხდეს ასევე შესრულების ანგარიშის წარდგენა. სამოქმედო გეგმა, დაფუძნებულია სტრატეგიულ გეგმაზე, რომელიც არ არის დამტკიცებული მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, რომელიც არ არის დამტკიცებული კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ. გეგმის თანახმად, **2026 წლის** 25 მაისიდან **15 სექტემბრამდე** პერიოდში სკოლის სამეურვეო საბჭო დაამტკიცებს სამოქმედო გეგმას.
(შენიშვნა - შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ტექნიკური შეცდომაა, 1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებაში წერია სტრატეგიული გეგმა, ნაცვლად - სამოქმედო გეგმისა).
ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2025 -2026 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია მიზნები, მიზნების შესაბამისი ამოცანები; თითოეული ამოცანისთვის გაწერილია აქტივობები კონკრეტული ნაბიჯების სახით, ხოლო შესრულების პროცესის ინდიკატორებს წარმოადგენს კონკრეტული მტკიცებულებები (მაგალითად, საგნობრივი კათედრის ოქმები, ხელშეკრულებები, ბიუჯეტი...); პროცესის შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობის პირები, გათვალისწინებულია სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსები.

ინდიკატორი 1.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032 წელი.*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი, 2025 წლის 5 სექტემბერი.*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით, N2-02; 16.01.2026)*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი, 2025 წლის 6 სექტემბერი.*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ. წ.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილს. დოკუმენტის მიხედვით ეს პროცესი ორ ძირითად დონეზე

ხორციელდება: სტრატეგიული განვითარების გეგმების მიმართულება და სამოქმედო გეგმების მიმართულება. სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის და შეფასების მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია; სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვების გზით ან პასუხისმგებელი პირების ან სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. სტრატეგიული გეგმის შეფასება წარმოადგენს სკოლის, მისი ერთეულებისა და კონკრეტული თანამშრომლების მუშაობის ეფექტურობის შეფასების ინსტრუმენტს, რაც დასახული გეგმის წარმატებით შესრულების ერთერთი გარანტიაა;

ინდიკატორი 1.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების წესი. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება სამ წელიწადში ერთხელ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებები კი ფასდება სემესტრის /სასწავლო წლის ბოლოს. როგორც აღნიშნული იყო, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, პირველ რიგში ხორციელდება დაკვირვებითა და პასუხისმგებელი პირების ან სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების საფუძველზე. მეთოდოლოგიის მიხედვით, დაგეგმვისა და მომზადების ეტაპებზე განსაზღვრულია ჩართულობის და უკუკავშირის მექანიზმები; კერძოდ, საჯაროვდება არსებული სიტუაციის ანალიზი, რათა სასკოლო საზოგადოებას მიეცეს მოსაზრებების გამოთქმისა და უკუკავშირის გაზიარების საშუალება. გარდა ამისა განსაზღვრულია პრეზენტაციების ჩატარება, რომლებსაც შეიძლება დაესწრონ დაინტერესებული ან მოწვეული პირები. სკოლა გამოხატავს მზაობას, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეაფასება.

ინდიკატორი 1.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, რომ სტრატეგიული დაგეგმვის და შეფასების პროცესში ორგანიზაცია იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ერთერთი სამოქმედო პრინციპი არის გამჭვირვალეობა. სტრატეგიული გეგმის განხილვის მიზნით, მეთოდოლოგიის მიხედვით, დაგეგმვის ჯგუფი სასკოლო საზოგადოების

წინაშე ატარებს პრეზენტაციას, რომელსაც დაინტერესებული პირები და მოწვეული ორგანიზაციები ესწრებიან. დამტკიცების შემდეგ სტრატეგიული გეგმა ოფიციალურად ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე. სკოლის მიმდინარე შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულის სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge). დაწესებულება გამოხატავს მზაობას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში.

ინდიკატორი 1.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი დაფუძნებულია სოციალურ პასუხისმგებლობაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები. დაგეგმილი საჭიროებები კი დადებით წვლილს შეიტანს სკოლის განვითარებაში; სტრატეგიული გეგმის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე , შესაძლებელია განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. საკითხის ინიცირებას ახდენს დირექტორი. ანალოგიურად, სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება განხორციელდეს სამოქმედო გეგმის ცვლილება. სტრატეგიული გეგმის შეფასება უზრუნველყოფს სკოლის, რომელიმე სტრუქტურული ერთეულის ან კონკრეტული თანამშრომლის ეფექტურობის შეფასებას. სკოლის ადმინისტრაციას, პერსონალს აქვს მზაობა, რომ სტრატეგიული ან სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლის შემდგომი წინსვლისა და განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, 2025-2032 წელი.*
- *სკოლის სამოქმედო გეგმა , 2025-2026 სასწავლო წელი.*

- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი 2025 წლის 5 სექტემბერი.*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით, N2-02; 16.01.2026)*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი 2025 წლის 6 სექტემბერი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრული პერსონალი წარმოდგენილია 31 ერთეულით. დაწესებულების საშტატო ნუსხა განისაზღვრება შემდეგი თანამდებობებით: დირექცია - დირექტორი, ბუღალტერი; ადმინისტრაცია - ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი; მასწავლებელი (21) ; სახელმწიფო

დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ნუსხა მოიცავს შემდეგ ტექნიკურ და სხვა მომსახურე პერსონალს: ექთანი (1) ცეცხლფარეში (1) დამლაგებელი (2) დარაჯი (2);
სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, პედაგოგური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგნობრივი მიმართულებები გაერთიანებულია ექვს კათედრაზე: საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, ესთეტიკა და სპორტი, მათემატიკა და ისტ, დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა - უცხო ენები; მხარეთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია დასაქმებულებსა და დირექციას შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ უზრუნველყო პედაგოგებთან შრომითი ხელშეკრულებების განახლება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა“, რომელიც აღწერს სკოლაში არსებული სხვადასხა თანამდებობრივი ერთეულის ფუნქცია-მოვალეობებს. ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ დებულება“, რომელიც მოიცავს სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებს, მათი ფორმირების საკითხებს გადაწყვეტილების მიღების წესს და სხვა. სკოლამ წარმოადგინა, „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი, ერთეულები, პროცესების და მათი აღმწერების“ დოკუმენტი, სადაც, სხვასთან ერთად, აღწერილია დირექციის წევრთა უფლებამოსილების საკითხი. „სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში“ სრულად არ არის წარმოდგენილი საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ყველა თანამდებობისთვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობები.
რჩევა: სასურველია სკოლას ჰყავდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
„სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში“ არ არის მოცემული მასწავლებლის, ცეცხლფარეშის ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია. გეგმის თანახმად, **2026 წლის** 25 მაისიდან **01 ივლისამდე** პერიოდში სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განისაზღვრება მკაფიოდ.
ინდიკატორი 3.1.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში დასაქმებულ პირებსა და არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განაწილება ხელს უწყობს სკოლაში საგანმანათლებლო პროცესების განხორციელებას. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები დაკომპლექტებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მოქმედებენ მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად. პედაგოგიური საბჭო წარმოდგენილია სკოლაში დასაქმებული ყველა პედაგოგით; ის განიხილავს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას; სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან პედაგოგების, მშობლების, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები; სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის ანგარიშს, ბიუჯეტის პროექტს და სხვ. სკოლის დირექტორის ბრძანებით დაკომპლექტებულია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექტორი, უფლებამოსილი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თამჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. დებულების მიხედვით მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს რეკომენდაციებს, წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის და სხვა. სკოლის დისციპლინურ კომიტეტში თანაბრად (ორ-ორი წევრით) არიან წარმოდგენილი სკოლის პედაგოგები, მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები და ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეთა თვითმართველობის საქმიანობას არეგულირებს შესაბამისი დებულება. დაწესებულება დაინტერესებულია სასკოლო სივრცეში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებით.

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობა (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-64; 25.12.2025)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ძირითადი და დამხმარე მმართველობითი, ერთეულები, პროცესები და მათი აღმწერები (დირექტორის ბრძანება N 2-22, 30.04.2026)*
- *მრჩეველთა საბჭოს დებულება და ფუნქციები.*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ დებულება, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (N 2-63; 25.12.2025)*
- *სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმები, 2025-2026 სასწ. წ.*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი, 2025 წლის სექტემბერი*

- *დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი, 2025 წლის სექტემბერი.*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2-61, 09.12.2025*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი, 2025 წ.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს, კერძოდ: კერძოდ ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, ინფორმაციას სამუშაო ადგილის სამუშაო დროისა დასვენების დროის შესახებ, შრომის ანაზღაურების ოდენობას და გადახდის წესს, ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხებს, ხელშეკრულების მოქმედებას ვადას და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პირობებს და სხვა. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებული სკოლის დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესით განისაზღვრება: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესი, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეები და გამოყენების წესი, დასვენების ხანგრძლივობა და სხვა პირობები. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებებს და აცხადებს დაწესებულების პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით. დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, რაც მოიცავს მონაცვლე ოთხ ძირითად მიმართულებას: ორგანიზება / დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოს მართვა, ორგანიზაციიდან გასვლა. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ადამიანური რესურსი მოზიდვისა და შერჩევის, კონკურსის ორგანიზების, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის, შესრულებული სამუშაოს შეფასების, პროფესიული კარიერული განვითარების

საკითხებს და სხვა პირობებს. შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ განუყოფელ ნაწილად ითვლება სკოლის შინაგანაწესი და დასაქმებული ვალდებულია დაადასტუროს მისი გაცნობის ფაქტი.

ინდიკატორი 3.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის“ მიხედვით, შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულება უფლებამოსილია გამოაცხადოს კონკურსი მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე, რომელიც რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისთვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულების პერიოდისთვის გახდება ვაკანტური. აღნიშნული დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია მოწვეული და შემცვლელი მასწავლებლისთვის საჭირო კომპეტენცია; რომელთა დასაქმება ხდება დროებით, სკოლის წინაშე წარმოქმნილი საჭიროების შემთხვევაში და წარმოადგენს სწრაფი ჩანაცვლების მექანიზმს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება სისტემატიურად უნდა აწარმოებდეს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას რათა დროულად მოხდეს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას და თავიდან იქნას აცილებული საკადრო პოლიტიკაში არსებული პრობლემები და გამოწვევები; სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული არის სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადების, გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, რათა უზრუნველყოფილი იქნას სკოლის დირექციის დროული ინფორმირება და ადმინისტრაციამ შეძლოს პრევენციული ზომების მიღება სამუშაო პროცესის შეფერხების თავიდან არიდების მიზნით. ანაზღაურებადი (გარდა მასწავლებლისა) და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და გაცემის წესი, ასევე განსაზღვრავს ადმინისტრაციის ინფორმირების ვადებს, სამუშაო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით.

ინდიკატორი 3.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა კადრების მოზიდვისა და დასაქმების პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით, სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტებით, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ მიხედვით სკოლის საკადრო პოლიტიკა ეყრდნობა ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპებს, რაც გულისხმობს რომ შერჩევი პროცედურები არის არადისკრიმინაციული, სუბიექტური

გადაწყვეტილებებისგან თავისუფალი; გამოყენებული პროცედურები, შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები გასაგები და ნათლად ფორმულირებულია. სკოლა კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, ზრუნავს პროცედურის მკაფიოდ და გამჭვირვალედ წარმართვაზე. დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და შერჩევის ეტაპებს წარმართავს კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება შიდა ან ღია კონკურსის გზით. კონკურსში მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს. ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნებს, ხოლო შიდა კონკურში მონაწილეობა შეუძლია სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელს.

მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შესახებ კონკურსის გამოცხადება ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრება კონკურის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და სხვა. განცხადება ღია კონკურსი შესახებ ცხადდება საჯაროდ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლების ვაკანსიების ვებგვერდზე. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ ხუთი წევრით, რომლის შემადგენლობაში შედიან კანონმდებლობთ განსაზღვრული სავალდებულო წევრები. სკოლას განსაზღვრული აქვს კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი.

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის დოკუმენტი“, რომელიც ასახავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ კონკრეტულ მექანიზმებს და პროცედურებს. აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმების წესი.

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დასაქმების რეგულაციები სკოლაში დასაქმებულ პირებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინონ სავალდებულო ცნობები („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად). სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეებში არ ინახებოდა ხუთი პირის ცნობები უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ (ჯამურად, ათი ცნობა).

რჩევა: სასურველია, სკოლამ „პერსონალის მართვის პოლიტიკაში“ ასახოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული სავალდებულო ცნობები (ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ).

გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

თანამშრომელთა პირად საქმეებში არ ინახება ხუთი ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და ხუთი ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ; გეგმის თანახმად, **2026 წლის** 20 მაისიდან **01 სექტემბრამდე** პერიოდში თანამშრომელთა პირად საქმეებში იქნება ასახული ხუთი ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და ხუთი ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

საშტატო განრიგის, შრომითი ხელშეკრულებების და ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით, სკოლაში დასაქმებულია დირექცია (დირექტორი და ბუღალტერი), ადმინისტრაცია (ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი), ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი (ექთანი, ცეცხლფარეში, 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი), აკადემიური პერსონალი (მათ შორის ერთი სპეციალური მასწავლებელი, 15 უფროსი და 5 წამყვანი პედაგოგი).
პერსონალის პირად საქმეებში განთავსებული დოკუმენტაცია, ადასტურებს, რომ უმრავლესობის კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. თუმცა დაწყებით საფეხურზე საგან მუსიკასა და ინგლისურ ენაში საათების ნაწილს ასწავლიან პედაგოგები, რომლებსაც შესაბამისი მიმართულებით არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია.

გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
დაწყებით საფეხურზე, მუსიკისა და ინგლისური ენის საგაკვეთილო საათების ნაწილს ატარებენ პედაგოგები, რომელთაც აღნიშნული მიმართულებით არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. გეგმის თანახმად, **2026 წლის** 25 მაისიდან **01 სექტემბრამდე** პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის აყვანას.
ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის შიდა ნორმატიული ბაზა, დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი მასალები, საქმისწარმოების დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დასაქმებული პერსონალი და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები აქტიურად არიან ჩართული მართვის მონაწილეობით და გუნდურ პროცესებში. დაწესებულებაში ფუნქციონირებს მართვის კოლეგიური ორგანოები, როგორიცაა სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. კოლეგიური ორგანოები,

დაკომპლექტების წესის შესაბამისად უზრუნველყოფენ პედაგოგების, მშობლების, მოსწავლეთა ინტერესების წარმომადგენლობას და კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ მათზე დელეგირებულ უფლებებს. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფს პედაგოგთა თანამშრომლობას. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთს საგაკვეთილო პროცესში, უზიარებენ პრაქტიკულ ცოდნას და იღებენ განმავითარებელი უკუკავშირს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს, ყველა თანამშრომლის მიმართ ერთგვაროვან მიდგომას და ისეთი გარემოს შექმნას სადაც თითოეულ დასაქმებულ პირს ექნება საკუთარი პოტენციალის, პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა დაწესებულების მიზნების მიღწევის პროცესში.

ინდიკატორი 3.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში დამკვიდრებულია მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა მიღწევების წარმოჩენას, მათ საჯარო აღიარებასა და დაგროვილი გამოცდილების კოლეგებისათვის გაზიარებას. სკოლის შინაგანაწესით მკაფიოდ არის განსაზღვრული წახალისების ფორმები და კრიტერიუმები, აღიარება ხდება კონკრეტული მიღწევების საფუძველზე: როგორიცაა: მაღალი პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერი სამსახური, განსაკუთრებული სირთულის ან მოცულობის სამუშაოს შესრულება, საგანმანათლებლო პროცესში გამოვლენილი ინიციატივები. კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს მართვის სხვადასხვა რგოლს, საგნობრივი კათედრა, პედაგოგიური საბჭო, დირექტორის მოადგილე, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სამეურვეო საბჭო და სხვა. აღიარებისთვის განსაზღვრულია როგორც მორალური, ისე ფინანსური სტიმულირება, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით, სკოლაში უზრუნველყოფილია დამსახურებაზეო დაფუძნებული მიდგომა, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება ხდება ინდივიდის კომპეტენციაზე დაყრდნობით, დაწესებულებისა და საზოგადოების წინაშე მის დამსახურების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 3.1.2.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *დირექტორის ბრძანება ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ (N 2-37; 01.09.2025)*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025 -2026 სასწავლო წელი*
- *პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები / პერსონალის პირადი საქმეები*
- *საშტატო განრიგი*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმები, 2025-2026 სასწ. წ.*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი, 2025 წლის სექტემბერი*
- *საგნობრივი კათედრების ოქმები 2025-2026 სასწ.წ.*
- *პედაგოგთა ურთიერთდასწრების ფორმები და ანგარიში*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (N 2-06; 06.02.2025)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ინსტრუმენტები ასახულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში; აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით:

სკოლას სისტემატურად აწარმოებს დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას; შეფასების მიზანია პერსონალის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება; აღნიშნული პროცესი წარმოადგენს განვითარებისთვის გამიზნულ კონსტრუქციული უკუკავშირს, რომელიც დაფუძნებულია კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე. შეფასება ორიენტირებულია სისტემურ და დიფერენცირებულ ანალიზზე. შეფასების პროცესი სტრუქტურირებულია და მოიცავს ისეთ ეტაპებს , როგორიცაა; დაგეგმვა, თვითშეფასება, გასაუბრება და საბოლოო შეფასება. ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება განსხვავებული მეთოდები, მათ შორისაა; შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება, გასაუბრება და სამუშაო სტანდარტები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და შინაგანაწესის მიხედვით, სკოლის მიერ აღიარებულია წარმატებული შეფასება და პროფესიული ზრდა. კვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნით, სკოლა იყენებს მატერიალური და არამატერიალური წახალისების ფორმებს. პროფესიული განვითარება განიხილება როგორც უწყვეტი, თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც ორიენტირებულია დასაქმებული ადამიანების პროფესიულ რეალიზებასა და მხარდაჭერაზე. პერსონალის მიზნობრივი განვითარების დაგეგმვა უშუალოდ არის დაფუძნებული შესრულებული სამუშაოს შედეგების ანალიზზე; განვითარების საჭიროებები და ინიციატივები კი შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგად ან თავად თანამშრომლის მხრიდან ზეპირსიტყვიერი მიმართვის საფუძველზე.

აკადემიური პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვების მიზნით, სკოლა ახორციელებს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებასა და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის პრაქტიკას.

ინდიკატორი 3.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ მიხედვით, პერსონალის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს წინასწარ დადგენილი საჭიროებებისა და შესაბამისი დაგეგმარების საფუძველზე:

პროცესი მოიცავს პერსონალის საჭიროებების გამოვლენასა და ანალიზს, დაწესებულება ახდენს თანამშრომლების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას შესრულებული სამუშაოს სისტემური შესრულების გზით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე კი იგეგმება პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი. ამასთან ერთად საჭიროებები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან უშუალოდ თანამშრომლის ზეპირსიტყვიერი ინიციატივით; გამოვლენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ხდება პროფესიული განვითარების მიზნობრივი დაგეგმვა. ეს პროცესი ფორმალური სახისაა, რადგან დაგეგმილი აქტივობები და მათთვის საჭირო რესურსები სავალდებულოდ უნდა აისახოს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში; შემუშავებული გეგმის შესრულები პროცესში სკოლა იყენებს სხვადასხვა მეთოდს და თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიულ განვითარებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ისე გარედან შემოთავაზებული სერვისების გამოყენებით.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2025 -2026 სასწავლო წელი) ერთერთი მიზნის სახით წარმოდგენილი სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესება, რომლის მიღწევის მიზნით სკოლაა დაგეგმილი აქვს ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა.

ინდიკატორი 3.2.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით, სკოლის ერთერთი ამოცანაა დასაქმებული პერსონალის პროფესიული და კარიერული ზრდისთვის ხელშეწყობა. დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ პედაგოგის კარიერული განვითარება ნებაყოფლობით პროცესია და კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე არის დამოკიდებული; კარიერული ზრდის შესაძლებლობები კი თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა თანამშრომლისთვის, ხოლო წინსვლის ინიციატივები თავად დაწესებულების მიერ უნდა იქნას ხელშეწყობილი და წახალისებული. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით, სკოლა მასწავლებლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა გზებს, როგორც შიდა, ასევე გარე სერვისების გამოყენებით; სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში უნდა აისახებოდეს განვითარებისთვის საჭირო აქტივობები და მათ უზრუნველსაყოფად აუცილებელი რესურსები. განვითარების პროცესი ორიენტირებულია პერსონალის შესაძლებლობების წარმოჩენაზე. დოკუმენტის მიხედვით, სკოლის პერსონალის განვითარების ხედვა და პოლიტიკა შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა: მოქნილობა, სწავლის მხარდაჭერა, შეფასება, როგორც სწავლის მხარდაჭერა, პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა, უწყვეტი განათლების სერვისებს შეთავაზება. სკოლა გამოხატავს მზაობას თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის კუთხით.

ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხები განხილულია “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“ . აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ახლად დასაქმებულმა პირმა წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა. ადამიანური რესურსების მართვის ციკლში ხაზგასმულია ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი, რაც აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის, ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; შეხვედრა, რაც გულისხმობს ფორმალური

და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდს, სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვის განმავლობაში; ოჯახის წევრობა, როდესაც დასაქმებულ კადრს უყალიბდება სკოლის გუდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. დოკუმენტი განსაზღვრავს სოციალიზაციის შედმეგ პროცედურებს: ორგანიზაციასთან პირველი შეხვედრა, თანამშრომლის გაცნობა, მენტორი თანამშრომლის გამოყოფა;

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის წესი", რომელიც განსაზღვრავს თანამშრომელთა სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს.

ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესი და „ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი" ასახავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების რეგულირების ზოგად ჩარჩოს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში განცხადებულია, თანამშრომელთა მოტივირების აუცილებლობა, კვალიფიციური პერსონალის მოსაზიდად და შესანარჩუნებლად. დოკუმენტი განსაზღვრავს პედაგოგთა წახალისების მატერიალურ და არამატერიალურ ფორმებს, როგორიცაა სიგელით დაჯილდოება, ფულადი პრემია და სხვა. სკოლის მართვის პოლიტიკის ღირებულებებში ხაზგასმულია, რომ დაწესებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელმძღვანელობს სამართლიანი და ობიექტური მიდგომებით. შინაგანაწესის მიხედვით, წახალისების ინიცირების უფლება აქვს სხვადასხვა პირს ან სტრუქტურულ ერთეულებს. სკოლა ზრუნავს, რომ სკოლაში იყოს პერსონალზე ორიენტირებული, სამართლიანი და წამახალისებელი გარემო.

ინდიკატორი 3.2.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , 2025 -2026 სასწ. წ.*
- *საგნობრივი კათედრების ოქმები, 2025-2026 სასწ. წ.*

- *ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის წესი (დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-20, 30.04.2026)*
- *პედაგოგთა ურთიერთდასწრების ფორმები და ანგარიში*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელიც გასაზღვრავს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს. დოკუმენტის მიხედვით სკოლის

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს - დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე ციკლის პრინციპით. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვით, რაც გულისხმობს შეფასების პროცესისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების დაგეგმვას; შემდეგ მოდის განხორციელების ეტაპი, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, მიღებულ შედეგებზე რეაგირებას; მომდევნო ეტაპზე ხორციელდება განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება, ცვლილებების შედეგად მიღებული შედეგების, ანუ განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება; საბოლოოდ ხდება შეფასების შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელება. ხარისხი უზრუნველყოფის დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სწავლა-სწავლების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები არის სკოლის მისია და მკაფიოდ ფორმულირებული სტრატეგია. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ციკლური ხასიათისაა და შედგება შემდეგი ფაზებისგან: დაგეგმვის ინიცირების ფაზა, მომზადება და განხილვების ფაზა, დამტკიცების ფაზა, გეგმის გადახედვის ფაზა. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განვითარების ეტაპები ციკლური ხასიათისაა (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია).

ინდიკატორი 3.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სკოლის ძირითადი და დამხმარე მმართველობითი, ერთეულები, პროცესები და მათი აღმწერების“ დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ძირითადი პროცესებია: ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება; უსაფრთხო, გამართული სასწავლო პროცესი, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულება; ფინანსური მართვა; სკოლაში არსებობს მმართველობით ერთეულები (სკოლის სამეურვეო საბჭო; პედაგოგიური საბჭო; სკოლის დირექცია; მოსწავლეთა თვითმმართველობა; დისციპლინური კომიტეტი; მრჩეველთა საბჭო) რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ სკოლის მართვას; დამხმარე პროცესებია: უსაფრთხოების წესების დაცვა და მონიტორინგი,: სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და მონიტორინგი, სასწავლო რესურსები (არსებულის მიზნობრივად გამოყენება, გეგმაზომიერად შევსება და განახლება) დამატებითი დაფინანსების წყაროს მოპოვება-განკარგვა/მონიტორინგი/ანგარიში; სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება; კვების პუნქტის არსებობა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ინდიკატორი 3.3.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და სავალდებულოა შესასრულებლად. დოკუმენტის მიხედვით სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დოკუმენტით განხილულია დასაქმებულთა მიერ დისციპლინური გადაცდომების და პასუხისმგებლობის სახეები. მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. შინაგანაწესში ასახულია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებაში ასახულია სკოლის დისციპლინური კომიტეტის ფორმირების და გადაწყვეტილებები მიღების წესი.

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „განცხადების და საჩივრის განხილვის წესი“, რომლის მიხედვით სკოლაში წარდგენილი საჩივარი/განცხადება განიხილება ობიექტურობისა და სამართლიანობის, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, სკოლაში საჩივრის/განცხადების წარდგენა შესაძლებელია პირადად, ფოსტით აწ/და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით; სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განიხილება უფლებამოსილი პირი/ორგანოს მიერ, რომლის კომპეტენციის ფარგლებსაც განეკუთვნება განცხადებაზე პასუხის გაცემა. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება და სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით, შეიძლება გასაჩივრდეს სკოლის სამეურვეო საბჭოში.

ინდიკატორი 3.3.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები; მათ უზრუნველყოფს შესაბამისი ინსტრუმენტები და სტრუქტურები. მაგალითად, დაცვის მექანიზმებია: პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი), მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები და შიდა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესები. პირველ რიგში აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია შინაგანაწესით. სკოლაში დასაქმებული პირი, მოსწავლე და მის მშობელ/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია იცნობდეს შრომის შინაგანაწესს. სკოლა მოსწავლის მშობელთან აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები; სკოლასა და

მშობელს/ კანონიერ წარმოდგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება რომელიც აღწერს მხარეთა უფლება-მოვალეობებს და არეგულირებს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს. სკოლაში მოქმედებს „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომლის მოქმედება ვრცელდება მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. აღნიშნული წესის მიზანია, შექმნას სამართლიანი გარემო და გამორიცხოს პირადი ინტერესი, ან/და სხვა გარემოება, რომლებიც ობიექტურ გადაწყვეტილებაზე მოახდენს გავლენას. სკოლაში არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს პერსონალის, მოსწავლის / მშობლის კანონიერი ინტერესების დაცვას.

ინდიკატორი 3.3.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N2-02. 16.01.2026 წ.)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N2-02. 16.01.2026 წ.)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ. ოქმი N4, 06.09.2025)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ძირითადი და დამხმარე მმართველობითი, ერთეულები, პროცესები და მათი აღმწერები (დირექტორის ბრძანება N 2-22, 30.04.2026)*
- *განცხადების და საჩივრის განხილვის წესი (დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-21; 30.04.2026)*
- *სკოლასა და მოსწავლის მშობელს/ კანონიერ წარომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის წესი", რომლის მიზანია შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის, საზოგადოების როლის ზრდა სასკოლო საქმიანობის გაუმჯობესებაში, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოების ინფორმირება სკოლის საქმიანობისა და ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში მისაღები და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და სახვა. აღნიშნული წესის მიხედვით სკოლის თანამშრომლები ვალდებული არიან, კომუნიკაცია სკოლის შიგნით და გარეთ წარმართონ იმგვარად რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და მიწოდების ვადა. აღნიშნული წესი განსაზღვრავს პერსონალთან მოსწავლეებთან, მშობლებთან, კომუნიკაციის წესს და ინფორმაციის მოწოდების მექანიზმებს, როგორიცაა პირდაპირი კომუნიკაცია, სატელეფონო კავშირი, სკოლის ვებგვერდი, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება ინფორმაცია. სკოლაში დაგეგმილი შეხვედრების მონაწილეების, ღონისძიების სტუმრებისა და მედიის წარმომადგენლების მიღება-დახვედრას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი, შემოსულ ზარებზე პირველადი პასუხის გაცემის ვალდებულება აქვს სკოლის საქმისმწარმოებელს, მოსწავლეებითვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფს დამრიგებელი და სხვა. სკოლა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ დოკუმენტებს, შესაბამისი წესით, აქვეყნებს სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge), ასევე საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სკოლის გვერდს სოციალურ ქსელში (Facebook).

ინდიკატორი 3.3.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონით, გარდა ამისა სკოლას მათი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი აქვს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებშიც ჩანს მათ ფუნქციონირებასა და უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კოლეგიური ორგანოებში ჩართულობის საშუალება აქვს მშობელს, პედაგოგს, მოსწავლეს. აღნიშნულ ორგანოებში ჩართულობა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობას აძლევს დააყენონ ინიციატივები, ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღებაში, გამოხატონ საკუთარი აზრი.

ინდიკატორი 3.3.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-26; 10.02.2025)*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი, 2025-2026 სასწ. წ.*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმები, 2025-2026 სასწ. წ.*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის მრჩეველთა საბჭოს შექმნის და მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ. (N 2-61; 9.12.2025)*
- *დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი, 2025 წლის სექტემბერი.*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2-61, 09.12.2025*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი, 2025 წ.*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სტრუქტურული ერთეულებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ (N2-63; 25.12.2025)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. სკოლას შემუშავებულია აქვს და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომელიც აღწერს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირების, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის მექანიზმებს და ა. შ.

სკოლა წარმოადგენს სამსართულიან ნაგებობას, რომელიც არ არის რეაბილიტირებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების მეორე და მესამე სართულზე განთავსებულია სამ - სამი ცეცხლმაქრი, პირველ სართულზე ორი ცეცხლმაქრი და სახანძრო სტენდი. შენობა არ არის აღჭურვილი კვამლის დეტექტორებით და ხანძარსაწინააღმდეგო ონკანებით. დაწესებულებას გაგზავნილი აქვს მიმართვა შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან (10/02/2026; MES 6 26 0000132863) საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №308 მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების სახეებიდან შემდეგი სახის მომსახურება/მომსახურების გაწევის შესახებ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოლას არ აქვს მომზადებული და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლას არ ემსახურება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, თუმცა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. აღნიშნულ პირს გავლილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდული.

არასამუშაო / ღამის საათებში სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს ორი დარაჯი. თანამდებობა განსაზღვრულია საშტატო განრიგით და დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

სკოლას აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (N 002134226; 27/03/2026), რომლის მიხედვით ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი ობჩის საჯარო სკოლის (ს/კ #30.08.34.018) შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. თუმცა ტექნიკური მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია სარდაფიდან წყლის მოცილების ღონისძიებების გატარება.

სკოლის შიდა პერიმერტზე დაკვირვებას უზრუნველყოფს ვიდეოსათვალთვალო სისტემა. მესამე სართულზე, დერეფნებში განთავსებულია განლაგებულია ორი ვიდეოკამერა, მესამე სართულზე სამი ვიდეოკამერა (ორი დერეფანში და ერთი კიბის უჯრედთან) , პირველ სართულზე, დერეფანში სამი ვიდეოკამერა. სკოლის დერეფნებს უერთდება ღია სივრცეები, რომლების სრულად ვერ ხვდება ვიდეოსათვალთვალო სისტემის არეალში. სკოლის გარე პერიმეტრი დამონტაჟებულია სამი ვიდეოკამერა (შენობის შესასვლელთან, წინა და გვერდით ფასადზე). ჯამში 11 ვიდეო კამერა. ვიდეოსათვალთვალო სისტემა სრულად ვერ ფარავს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირების წერტილი განთავსებულია ცალკე ოთახში. უსაფრთხოების კამერებზე და ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

წარმოდგენილი **შესაბამისობის გეგმის** მიხედვით, სკოლა არა უგვიანეს **2027 წლის 10 თებერვლისა** უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადებას და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებას.

გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემა სრულად ვერ ფარავს სკოლის დერეფნებს, ღია სივრცეებს, გარე პერიმეტრს. გეგმის თანახმად, 2026 წლის 25 მაისიდან **2027 წლის 25 მაისამდე** პერიოდში სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემით მოხდება ღია სივრცეების გარე პერიმეტრის სრული დაფარვა.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით; ოთახს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, დამონტაჟებულია ხელსაბანი, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია სამედიცინო დახმარების გასაწევად საჭირო ინვენტარით და საშუალებებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხით დაშვებულია ექთნის თანამდებობა; პოზიციაზე დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის“ დოკუმენტში განსაზღვრულია ექთნის ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს, განსაზღვრავს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტებს, განსახორციელებელ ქმედებებს, სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების საკითხებს.

ინდიკატორი 3.4.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლის „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“ მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა, ძალადობის რისკების შეფასება, საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს, წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის, განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიან ანგარიშს. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, უფლებამოსილი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი.

სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, ისინი ზრუნავენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სასკოლო დროს. მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წესრიგის დაცვაზე ზრუნავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული ცხელი ხაზის ნომრები. საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა ხდება სკოლის შინაგანაწესის და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

ინდიკატორი 3.4.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას და მისი ღირსების დაცვას, სასკოლო დროს მოსალოდნელ საფრთხეებზე რეაგირებას. სკოლა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით გეგმავს საინფორმაციო ღონისძიებებს დამრიგებლების, სპეციალური მასწავლებლის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით. სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის და რეგულირების ნორმები განსაზღვრული არის სკოლის შინაგანაწესში.

დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დოკუმენტის მიხედვით, ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით სკოლა ვალდებულია გამოავლინოს ბავშვზე ძალადობის შემთხვევა; უფლებამოსილია შემთხვევა და საჭიროების ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე გაანალიზოს შემთხვევაში მოახდინოს პოლიციისა და სააგენტოს ინფორმირება; სააგენტოსთან თანამშრომლობით განახორციელოს მდგომარეობაზე ზედამხედველობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N 2-41; 24.10.2016) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია სკოლის დირექტორი.

რჩევა: მიზანშეწონილია, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმს, და ვრცელდება სკოლაში არსებულ ყველა სივრცეზე, მათ შორის სასწავლო და სამუშაო ოთახებზე. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ძირითად პროცედურებს, რაც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: ყოველდღიური დასუფთავება, გენერალური და პერიოდული ღონისძიებები, სპეციფიკური ზონების მოვლა (როგორიცაა სამედიცინო კაბინეტი, სველი წერტილები და ა.შ.) ნარჩენების მართვა და კონტროლი. სკოლაში არსებულ ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის ექთანს. სკოლაში სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვის ზედამხედველობა და სანიტარულ - ჰიგიენური პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვის ვალდებულება განსაზღვრულია ექთნის თანამდებობის სამუშაო აღწერილობაში.

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფის ორი დამლაგებელი. მათი ვალდებულებები შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებებით და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დოკუმენტით არის გაწერილი. დამლაგებლები უზრუნველყოფენ შენობის ფართის მოწესრიგებას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის შენობის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების, შენახვას სპეციალურად განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსო ოთახში, რათა არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობასა და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოფილი იყო ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით და რესურსებით.

ინდიკატორი 3.4.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი აღწერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმს. შემუშავებული წესის მიხედვით, სკოლა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ კონკრეტული და კანონიერი მიზნებისათვის, დაცული უნდა იყოს მონაცემთა დამუშავების პროპორციულობა, სიზუსტე, შენახვის ვადები; აღნიშნული წესის მიხედვით, ინფორმაცია არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი და წვდომა მკაცრად არის განსაზღვრული პირის უფლებამოსილების მიხედვით; სკოლამ უნდა უზრუნველყოს ციფრული და ტექნიკური უსაფრთხოება, ელექტრონული ბაზების და მატერიალური დოკუმენტების დაცვა; სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეთიკას და კონფიდენციალურობას, რათა უზრუნველყოს მოსწავლის და დასაქმებულთა პირადი სივრცის პატივისცემა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა არის სკოლაში დასაქმებული ყველა პირის ვალდებულება.

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი. პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის მონაცემთა

დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის და თანამშრომლების ინფორმირება, მათთვის კონსულტაციის და მეთოდური დახმარების გაწევა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციაზე განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, გამოყენების და გავრცელების საკითხი განსაზღვრულია სკოლის პედაგოგებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით; პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებისა და წვდომის საკითხები ასევე არის სკოლას და მოსწავლის მშობელს / კანონიერ წარმომადგენეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი .

ინდიკატორი 3.4.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ინფორმაციის დაცვის წესი", რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. აღნიშნული წესი აყალიბებს სკოლის ინფორმაციის შეგროვების და დაცვის სტრატეგიას, ინფორმაციის დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. წესის მიხედვით, სკოლა ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები მატერიალური და ელექტრონული ინფორმაციის დასაცავად; ელექტრონული ინფორმაცია დაცული უნდა იყოს არაავტორიზებული წვდომისა და დაზიანებისაგან; დაწესებულება პასუხისმგებელია მონაცემთა შენახვისა და განადგურების კონტროლზე; დირექტორის ბრძანებით სკოლაში განსაზღვრული არის ინფორმაციის დაცვასა და მონიტორინგზე პასუხიმგებელი პირი, რომლის მოვალეობებში შედის უფლებამოსილი პირების მიერ ინფორმაციის დამუშავების პროცესის სისტემატური კონტროლი, და ზომების მიღება ინფორმაციის შემთხვევითი დაკარგვის, უკანონო განადგურებისა და შეცვლის ან დამახინჯების თავიდან ასარიდებლად, ასევე დარღვევების აღმოჩენის დროს სკოლის დირექტორს დაუყოვნებლივი ინფორმირება რეაგირებისთვის.

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის დაცვას უნებართვო წვდომისგან. სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული პროგრამები ლიცენზირებულია.

ინდიკატორი 3.4.1.7 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტურობის პერიოდულ შეფასებას. „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის“ სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები/ან კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით, ანონიმურობის დაცვით; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების შესაძლოა მოხდეს კითხვარის გამოყენებით, რომელიც უნდა იძლეოდეს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი შემვსები პირის მიერ პრობლემის გადაწყვეტის გზების შეთავაზების შესაძლებლობას; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება უნდა განხორციელდეს სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ.

სკოლის დირექტორი მრჩეველთა საბჭოს წარუდგენს ანგარიშს გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.8 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (15.09.2025)*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ (N 2-07, 22.02,2022)*
- *ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (N 002134226; 27.03.2026).*
- *სკოლის საშტატო განრიგი, 2026 წ.*
- *სკოლის მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (10.02.2026; MES 6 26 0000132863)*
- *სკოლაში დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობა (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-64; 25.12.2025)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-26; 01.05.2026).*
- *მრჩეველთა საბჭოს დებულება*

- *სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის მრჩეველთა საბჭოს შექმნის და მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ. (N 2-61; 9.12.2025)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-40, 24.10.2016)*
- *სკოლის დირექტორის ბრძანებით ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრულის შესახებ (N 2-41; 24.10.2016)*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობის და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ (N 1კ/-02 , 21.03.2026)*
- *სკოლასა და მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება*
- *დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები*
- *დირექტორის ბრძანება სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სოფელ პირველი ობჩის სკოლის უსაფრთხოების კამერების და ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის თაობაზე (N2-25; 01.05.2026)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-08; 12.02.2026)*
- *დირექტორის ბრძანება სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ინფორმაციის დაცვა /მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის თაობაზე (N 2-23. 01.05.2026)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ ობჩაში, მისამართზე არქიმანდრიტ იოსებ ბურჯანაძის ქუჩა N17. სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 30.08.34.018) დაზუსტებული ფართობი 13 632.00 კვ. მ. შეადგენს. მიწის ნაკვეთი და შენობები სკოლას სახელმწიფოსგან არსებობის ვადით აქვს გადაცემული.

სკოლის მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით, შენობის პირველი სართულის ფართი არის 623,54 კვ.მ. მეორე სართულის - 619,49 კვ.მ, მესამე სართულის - 629,6 კვ.მ. საერთო ფართი - 1872,63 კვ. მ. სპორტდარბაზის პირველი სართული - 641.48 კვ.მ, მეორე სართული - 47.67 კვ. მ; ტუალეტი - 17.44 კვ.მ. საჯარო რეესტრი ამონაწერში არსებული მონაცემები შესაბამისობაში არ მოდის შენობის შიდა აზომვით ნახაზთან. შესაბამისად, საჯარო რეესტრში სკოლის საკადასტრო მონაცემები საჭიროებს განახლებას და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანას. (საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ჩამონათვალში მიწის ნაკვეთზე წარმოდგენილია ექვსი ნაგებობა N 01/1-667.2 კვ.მ. N 02/3-2095.46 კვ.მ. N 03/1-105 კვ.მ. N 4/1 – 36.68 კვ.მ. N 5/1/ - 24.36 კვ.მ. N06/1 – 9.12 კვ.მ.)

სკოლა წამოადგენს ერთიანი კომპლექსური ტიპის ნაგებობას: ძირითადი კორპუსი სამსართულიანია; ის სპორტულ დარბაზს უერთდება დამაკავშირებელი ბლოკით, რომელიც ამავდროულად ცენტრალური შესასვლელის ფუნქციას ასრულებს.

პირველ სართულზე განლაგებულია საკლასო ოთახები, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სველი წერტილები (გოგონებისა და ვაჟებისთვის, პედაგოგებისთვის, აგრეთვე ადაპტირებული სველი წერტილი) და სხვ; პირველ სართულზე არის სპორტდარბაზის შესასვლელი, რომელსაც სიმაღლეში ორი სართული უჭირავს, მაგრამ წარმოადგენს ერთიან კონსტრუქციას. სპორტდარბაზს აქვს დამხმარე ოთახები.

მეორე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, ადმინისტრაციის (დირექტორის, საქმისმწარმოებლის) კაბინეტები, სამასწავლებლო და სხვ. მესამე სართული ეთმობა ფიზიკის და ქიმიის ლაბორატორიებს (თავისი დამხმარე ოთახებით), კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტს, სააქტო დარბაზს და ა. შ.

სკოლის დანარჩენი სივრცეები გამოიყენება საგნობრივი მიმართულებით, სათავსოებად, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა დამხმარე დანიშნულებით.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა 121 მოსწავლე და გახსნილი იყო 12 კლასი. საკლასო ოთახები აღჭურვილია მერხებით, დაფებით, სხვა საჭირო ინვენტარით. აღსანიშნავია, რომ საკლასო ოთახებში ინდივიდუალური სასკოლო მერხების და

სკამების რაოდენობა არ არის საკმარისი. მათ შორის პირველ სართულზე მდებარე ორ საკლასო ოთახში განლაგებულია 17 ერთეული ორადგილიანი მერხი, რაც არ შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N 572 ბრძანებას (09/08/2011) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ.“

სკოლის მესამე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები. ფიზიკის ლაბორატორიას აქვს სადემონსტრაციო ოთახი და საცავი, სადაც ინახება სასწავლო რესურსები. ფიზიკის სასწავლო სადემონსტრაციო ბაზა, ძირითადად საბჭოთა პერიოდის სასწავლო სადემონსტრაციო ხელსაწყოებით არის წარმოდგენილი, თუმცა კარგადაა შემონახული და მრავალფეროვანია. ქიმიის ლაბორატორიას ასევე აქვს იზოლირებული ოთახი ლაბორატორიული მასალების/ ხელსაწყოების და რეაქტივების შესანახად და ცალკე სადემონსტრაციო სივრცე. ქიმიის ლაბორატორიის მასალები და რეაქტივები მრავალფეროვანია, თუმცა მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროებს ვარგისიანობის შეფასებას / და ან განახლებას. ქიმიის ლაბორატორიის სადემონსტრაციო ოთახში არ დგას ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდა, გამწოვი კარადა და ხელსაბანი (ხელსაბანი დგას ქიმიის ლაბორატორიის დამხმარე ოთახში).

სკოლის მესამე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტით და შვიდი პერსონალური კომპიუტერით, რომელთაგან ყველა არ არის მუშა მდგომაროებაში.

სკოლის სამივე სართულს გასდევს ცენტრალური დერეფანი, რომლის ორივე მხარეს განლაგებულია ოთახები. დერეფნებს გვერდებიდან უერთდება ღია სივრცეები, რომლებიც ბუნებრივი განათების და ვენტილაციის წყაროა და შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც რეკრეაციული დანიშნულებით, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობისთვის.

სკოლის ინფრასტრუქტურა მოძველებულია და განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ ცვეთას. საკლასო ოთახებსა და საერთო სარგებლობის სივრცეებში (დერეფნები, კიბის უჯრედი) კედლების და ჭერის საფარი მეტწილად დაზიანებულია და შეინიშნება ინტენსიური ბათქაშის ცვენა, წყლისა და ნესტის კვალი (ზედა სართულებზე); კაბინეტებსა და საკლასო ოთახებში არსებული ფიცრის იატაკი და დერეფნებში დაგებული ფილოვანი საფარი მოძველებული, ხშირად უსწორმასწორო და არაერთგვაროვანია. დერეფნებში არსებული განათების სისტემა საჭიროებს განახლებას. შენობის გარე საფარიდან, ნაწილობრივ, ჩამოცვენილია ბათქაში; ნაგებობა დახურულია თუნუქის სახურავით, რომელიც განიცდის კოროზიას. სკოლას სჭირდება კომპლექსური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. სკოლისგან მოწოდებული ინფორმაციით, ამ მიმართულებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები.

სკოლა სრულად არის აღჭურვილი მეტალო პლასტმასის ფანჯრებით და დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.

გარდა ძირითადი ნაგებობისა, სკოლის ეზოში განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები. მათ შორისაა მოქმედი საქვაბე და გარე ტუალეტი, რომელიც ამჟამად არ გამოიყენება, მაგრამ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ეზოში ასევე დგას სამი ნაგებობა, რომლებსაც ამჟამად არ აქვთ ფუნქციური დატვირთვა. აღსანიშნავია, რომ მათი ბლოკის წყობა დარღვეულია და შენობები საყურადღებო მდგომარეობაშია. ისინი არ არის იზოლირებული სკოლის საერთო სარგებლობის სივრცისგან. ერთერთ ნაგებობასთან დგას კოროზირებული ლითონის საკვამური მილი, რომელიც ვიზუალურად არამდგრადია.

სკოლის ცენტრალური შესასვლელი დაცულია ლითონის ჭიშკრით. ხოლო თავად დაწესებულება ძირითადად ლითონის ბადისებრი ღობითაა შემოსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ შენობის უკანა პერიმეტრზე არსებული ზღუდე არაერთგვაროვანია (მავთულები, ბადე) და ვერ უზრუნველყოფს სკოლის პერიმეტრის სათანადო იზოლირებას გარეშე სივრცისაგან.

რჩევა: მიზანშეწონილია, გონივრულ ვადებში განხორციელდეს შენობის კომპლექსური სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

- სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა აზომვითი ნახაზის მონაცემები არ მოდის შესაბამისობაში საჯარო რეესტრში არსებულ ოფიციალურ ჩანაწერებთან; სკოლის საკადასტრო მონაცემები საჭიროებს ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანას. გეგმის თანახმად, სკოლის საკადასტრო მონაცემები ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი 2026 წლის 30 მაისიდან **2027 წლის 30 მაისამდე** პერიოდში.
- საკლასო ოთახების ნაწილში განთავსებულია ორადგილიანი მერხები, რაც არ შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ". გეგმის თანახმად, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე შეძენილი იქნება ერთადგილიანი მერხები 2026 წლის 30 მაისიდან **2027 წლის 30 მაისამდე** პერიოდში.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში (ქიმიის ლაბორატორია) არ დგას ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდა, გამწოვი კარადა და ხელსაბანი; სასწავლო-ლაბორატორიული რესურსი საჭიროებს რევიზიას და განახლებას. გეგმის თანახმად, საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიაში შეძენილი იქნება ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდა, გამწოვი კარადა და ხელსაბანი, მოხდება საჭირო რესურსების განახლება 2026 წლის 30 მაისიდან **2027 წლის 30 მაისამდე** პერიოდში.
- სკოლის ეზოში დგას სამი დაზიანებული, უფუნქციო დამხმარე ნაგებობა (მათ შორის ერთი ლითონის კონსტრუქციით), რომლებიც საჭიროებს დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცისგან იზოლირებას, აღნიშნული ნაგებობების საბოლოო სტატუსის განსაზღვრამდე. გეგმის თანახმად, სკოლის ეზოში მდგარი 3 უფუნქციო შენობის სტატუსის განსაზღვრამდე მოხდება საერთო სარგებლობის სივრცისგან იზოლირება, 2026 წლის 30 მაისიდან **2028 წლის 30 მაისამდე** პერიოდში.
- სკოლის უკანა პერიმეტრის დამცავი ღობე არაერთგვაროვანია და ვერ უზრუნველყოფს სასკოლო სივრცის იზოლირებას მიმდებარე ტერიტორიიდან. გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამცავი ღობის შეკეთებას და იზოლირებას მიმდებარე ტერიტორიიდან 2026 წლის 30 მაისიდან **2027 წლის 30 მაისამდე** პერიოდში.

ინდიკატორი 3.5.1.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესის, რომლის მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები; წესის შემუშავების მიზანია სკოლაში არსებული კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა და ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსი საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მატერიალურ რესურსებით სარგებლობა ემყარება შემდეგ პრინციპებს: ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სარგებლიანობის თანასწორუფლებიანობა, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნული წესი მოიცავს რესურს ოთახით, სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სამედიცინო კაბინეტით, სპორტული ინფრასტრუქტურით, სარგებლობის წესებს.

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები ასევე ასახულია სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს რესურს ოთახით, ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის საკითხებს. ლაბორატორიით სარგებლობის წესები გამოკრულია შესაბამის კაბინეტებში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ემსახურება როგორც მოსწავლეებს, ასევე სკოლის პერსონალს.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია; ასევე სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. აღნიშნული სივრცეებით სარგებლობა თავისუფლად არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის;

ინდიკატორი 3.5.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შენობის პირველ სართულზე არის განთავსებული. ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო დარბაზს და წიგნსაცავს. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 4922 ერთეული, ძველი და ახალი მხატვრული, სამეცნიერო, პროფესიული ლიტერატურა. ბიბლიოთეკის განკარგულებშია გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები. წიგნები აღრიცხულია და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ რომელიც არეგულირებს საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის საკითხებს. დოკუმენტში ხაზგასმულია მკითხველთა თანასწორუფლებიანობა, ოპერატიულობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ბიბლიოთეკარი აღრიცხავს გატანილ წიგნებს, პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველყოფაზე. სკოლა დაინტერესებულია წიგნადი ფონდის გაფართებით და განახლებით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი 3.5.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლა ზრუნავს ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის პირობების შექმნაზე. შენობის მთავარ შესასვლელში მოწყობილია არის პანდუსი რომელიც უზრუნველყოფს გარე სივრციდან სკოლის პირველ სართულთან კომუნიკაციას ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებისთვის; ასევე, შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ერთი ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც ასევე პირველ სართულზე მდებარეობს და ყველა საჭირო ინვენტარით და რესურსით არის აღჭურვილი.

შენობას არ აქვს ლიფტი ან სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ადმინისტრაციული სივრცეები და საკლასო ოთახების ნაწილი განლაგებულია შენობის მეორე და მესამე სართულზე, შესაბამისად, სკოლას არ აქვს პრევენციული მექანიზმი, უზრუნველყოს კურიკულუმით განსაზღვრულ ან/და სხვადასხვა აქტივობის შესაბამის სივრცეების ხელმისაწვდომობა, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებისთვის.

წარმოდგენილი **შესაბამისობის გეგმის** მიეხედვით, სკოლას არა უგვიანეს **2028 წლის 16 თებერვლისა** უზრუნველყოფს სართულებს შორის (პირველი, მეორე, მესამე სართული) დამაკავშირებელი ლიფტის ან კიბე-ამწის მოწყობას შესაბამისი საჭიროების მქონე პირების გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი 3.5.1.3 ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას სკოლის ბაზაზე განახორციელონ სხვადასხვა ტიპის აქტივობები, მაგალითად კულტურული, სოციალური, სპორტული. სკოლაში არსებობს სივრცეები, რომლებიც მოსწავლეებს კომუნიკაციის, თანამშრომლობის, იდების გაზიარების საშუალებას აძლევთ. ასეთი სივრცეებია ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, სააქტო დარბაზი, ღია სივრცეების სკოლის დერეფნებში და სხვ. სკოლის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, მიუხედავად ამისა საერთო სივრცეები მოსწავლეებს

შესაძლებლობას აძლევს გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები და გაუზიარონ თავისი მიღწევები, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჩართულობის და სოციალური უნარ -ჩვევების განვითარებას.

ინდიკატორი 3.5.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საჯარო რეესტრის ამონაწერები, მომზადებული 10.06.2013 და 12.02.2026*
- *შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, მომზადებულ შპს ინტელექტ კადასტრ ჯგუფის მიერ, 15.04.2018*
- *დირექტორის ბრძანება სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ (N 2-66, 25.12.2025)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-69, 20.12.2023)*
- *ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა, 2025-2026 სასწ.წ.*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (15.09.2025)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ინფორმაციული ტენოლოგიებით სარგებლობის წესი (დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-08, 12.03.2025)*
- *კომპიუტერული ტექნიკის მიღება - ჩაბარების აქტები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში, შენობის მესამე სართულზე მოწყობილია კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელის აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით. კაბინეტში განთავსებულია შვიდი კომპიუტერი, რომელთაგან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სამი იყო მუშა მდგომარეობაში. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერების რაოდენობა არ შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 ბრძანებას (09/08/2011) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ.“
ერთი პერსონალური კომპიუტერი დგას სამასწავლებლოში; ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვნად წარმართვას ემსახურება სამი პერსონალური კომპიუტერი (დირექტორის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის). ადმინისტრაციის ოთახებში და სამასწავლებლოში წარმოდგენილია 4 პრინტერი. კომპიუტერული ტექნოლოგიების ოთახი, ადმინისტრაციის ოთახები უზრუნველყოფილია ინტერნეტით. კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას, სკოლის ინტერნეტ ქსელით მომსახურებას, უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის ადმინისტრაციას აქვს ელექტრონული საქმისწარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობა (კომპიუტერები, პრინტერები /სკანერის აპარატი). სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge. e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში.

გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერების რაოდენობა არ შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ.” გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის საჭირო კომპიუტერების რაოდენობის შემენას 2026 წლის 01 ივნისიდან **2028 წლის 01 ივნისამდე** პერიოდში.

ინდიკატორი 3.6.1.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლში ინფორმაციული ტექნოლოგიები განიკარგება სკოლის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის მიხედვით, მატერიალური რესურსებით სარგებლობის მთავარი პრინციპებია ხელმისაწვდომობა და თანასწორუფლებიანობა, რაც გულისხმობს მოსწავლეთა თანასწორობას ლაბორატორიით სარგებლობის პროცესში, მისი გამოყენების მიზნობრიობას. სკოლას შემუშავებული აქვს „ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ინფორმაციული სისტემების და ელექტრონული სისტემების გამოყენების ზოგად საკითხებს.
გარდა ამისა, სკოლის „მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესი“ განსაზღვრავს მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა მიერ კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების საკითხებს (თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის და სხვა) . სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული ტექნიკის განკარგვაზე პასუხისმგებელია ინფორმაციულ ტექნოლოგიების მასწავლებელი. სკოლამ წარმოადგინა „ციფრული განვითარების გეგმა“, რომლის მიხედვით სკოლს პრიორიტეტებია საგანმანათლებლო აქტივობები, კიბერუსაფრთხოება, ახალი მიდგომების დანერგვა.
მოსწავლეებს და პერსონალს უზრუნველყოფილია არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება / ხელმისაწვდომობა, მათი საჭიროებების შესაბამისად.
ინდიკატორი 3.6.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კომპიუტერული ტექნიკის/ პრინტერების მიღება- ჩაბარების აქტები*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-66, 25.12.2025)*

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-24 , 01.05.2026)*
- *საინვენტარიზაციო აღწერილობა აქტი N 4;*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-08, 12.03.2025)*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, საარქივო საქმეს; მისი მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და მუშაობის ეფექტურობის ამაღლება. საქმისწარმოების განსაზღვრული მუშაობის წესის დაცვა სავალდებულოა საჯარო სკოლის ყველა თანამშრომლისთვის. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, დოკუმენტების დამუშავებასა და შესრულების კონტროლს ახორციელებს საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლაში მატერიალურად ხორციელდება შემოსული და გასული დოკუმენტაციის, შრომითი ხელშეკრულებების, საერთო და საკადრო ბრძანებების რეგისტრაცია. დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები რეგისტრაციაში ტარდება საჯარო სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ და ენიჭება შესაბამისი ინდექსები. სკოლა საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.6.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულისისტემა (Eflow). სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა შესახებ, შესაბამისი წესით ინფორმაციის ასახვა ხდება სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

(eSchool). აღნიშნული სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, დაწესებულება ინფორმაციის მიღება-გავრცელების და სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით იყენებს გვერდს სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge), სოციალურ ქსელში (Facebook) არსებულ სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას.

ინდიკატორი 3.6.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა წარმოდგენილია სრულყოფილით პროფილით ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) შეყვანილია ყველა თანამშრომლისა და მოსწავლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც განახლებადია. სისტემაში ხორციელდება გაკვეთილების ცხრილის და განრიგის შექმნა, საგნების განაწილება, კლასების შექმნა. კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად აისახება პირველკლასელთა ლიმიტი და სხვ.

ინდიკატორი 3.6.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს, ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებლ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს; ასევე, ყოველი წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს, „საკანონმდებლო მაცნეს“ თავმჯდომარეს წარუდგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშებს. სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-65; 25.12.2025)*
- *სკოლის პროფილი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool)*

- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge),*
- *ანგარიში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე. (10.12.2025, MES 9 25 0001760265)*
- *ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე. (10.12.2025, MES 2 25 0001760376)*
- *ანგარიში საქართველოს პრემიერ-მინისტრს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე. (10.12.2025, MES 3 25 0001761411)*
- *ანგარიში სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე. (10.12.2025, MES 4 25 0001760459)*
- *სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9, 10.12.2025.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს "საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის წესი", რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. აღნიშნული წესის მიზანია შიდა და გარეს საკომუნიკაციო ეფექტური სტრატეგიების გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის. დაწესებულება სასკოლო საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებს სკოლის ვებგვერდს. გვერდს სოციალურ ქსელში (Facebook), სკოლის ელფოსტას, სატელეფონო კავშირს, საინფორმაციო დაფას, პირდაპირ კომუნიკაციას და სხვა. დასაქმებული პერსონალის ინფორმირების მიზნით სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას (eflow). სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში მოსული მოქალაქეების ინფორმირებას, მათ შეკითხვებზე პასუხების გაცემას. სკოლაში შემოსულ სატელეფონო ზარებზე პირველადი პასუხის გაცემას ახდენს საქმისმწარმოებელი, კომპეტენციის მიღმა არსებულ შეკითხვებზე, ის განსაზღვრავს შემდგომ ადრესატს და ახდენს გადამისამართებას. სკოლის საქმისწარმოების წესის მიხედვით, შემოსული წერილების, განცხადებების, საჩივრებისა და სხვა მატერიალური დოკუმენტების პირველად დამუშავებას ახდენს საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია კომუნიკაცია

სკოლის როგორც შიგნით, ასევე გარეთ წარმართოს იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და მიწოდების გონივრული ვადა. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას კურიკულუმებთან დაკავშირებით და იღებს მათგან ინფომრაციას. საკომუნიკაციოდ გამოიყენება შემდეგი არხები: სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; - სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ინდიკატორი 3.6.3.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დირექცია ამ ინფორმაციის გავრცელების დროს ეყრდნობა დამადასტურებელ მასალას, პასუხისმგებლობას იღებს გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობასა და სისწორეზე. ინფორმაციის გამოქვეყნება ხდება მატერიალურად სკოლის საინფორმაციო სივრცეში, სკოლის გვერდზე ინტერნეტში, უშუალო საინფორმაციო შეხვედრების გზით და ა.შ.

ინდიკატორი 3.6.3.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლა ზრუნავს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის ანალიზზე. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის წესის მიხედვით, მისი მიზანია შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის, სასკოლო საზოგადების როლის ზრდა სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში. სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკის მიხედვით, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესებს და წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისათვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას; აღნიშნული პროცედურები კი უზრუნველყოფს სკოლი საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასების საფუძველზე მის მუდმივ განვითარებას.

სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა / მიმდინარე სასწავლ წელს განვლილი პროცესების / წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა და სხვა. შემუშავებული რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.6.3.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი გვერდი სკოლების პორტალზე, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, (skolebi.emis.ge.) სკოლა საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე; შესაბამისად ვებ.გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

დაწესებულების გვერდი, სკოლების პორტალზე, სკოლის შესახებ გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ჩარიცხვის პროცედურები და სხვ. ჯერჯერობით არ დევს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორი 3.6.3.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-65; 25.12.2025)*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *დირექტორის ბრძანება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (N 2-03; 18.01.2018)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-06, 10.02.2025)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (06.09.2026 წ.)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება. გარდა ამისა, კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკურ საქმიანობის ფარგლებში სკოლას აქვს მცირე საიჯარო შემოსავალი (ცეკვის წრე). სკოლის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე; სკოლას, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული აქვს ფინანსები საოფისე ხარჯებისთვის, სარემონტო სამუშაოებისთვის, შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა დასუფთავებისთვის დ ა. შ. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია რესურსი კომუნალური ხარჯებისთვის. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, დირექტორის წარდგინებით. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი ეფუძნება სკოლის საჭიროებებს, პროგნოზებს, წინა წლების გამოცდილებას. სკოლა ზრუნავს ბიუჯეტში არსებული რესურსის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საჭიროებების შესაბამისობაზე. კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლის დირექტორი ყოველი წლის ათ დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ .

ინდიკატორი 3.7.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვის დროს ითვალისწინებს რეალურ გათვლებსა და გაანგარიშებებს, როგორც შემოსავალით, ისე ხარჯვით ნაწილში. საჭიროების შემთხვევაში ხდება სკოლის ბიუჯეტის კორექტირება, რაც გულისხმობს მოქნილ და რეალურ საჭიროებებზე მორგებულ დაგეგმვას. ყოველი წლის ნოემბერში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში სკოლა ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. დაწესებულება აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ერთმანეთთან დაგეგმილი და ფაქტობრივი მონაცემების შედარება. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოსთან ხდება ანგარიშის წარდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს კომპლექსური მიდგომა ფინანსების ხარჯვის მიმართ.

ინდიკატორი 3.7.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი.*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი N 9, 10.12.2025*
- *სკოლის საშტატო განრიგი*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება ფინანსური აქტივობის, მოთხოვნებისა ვალდებულებების ინვენტარიზაციის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ (N2-59; 20.11.2025)*
- *დირექტორის ბრძანება სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ (N2-57, 20.11.2025)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შიდა ნორმატიული აქტები, რომელთა გამოყენებითაც ხდება მოსწავლის უფლებების და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი განსაზღვრავს განცხადების/საჩივრის განხილვის წესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები და სხვა. კლასის დამრიგებელს აქვს ვალდებულება ყოველის სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლესა და მშობელს / კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს აღნიშნული დოკუმენტი. სკოლას დამოუკიდებელი დოკუმენტი სახით აქვს „განცხადებისა და საჩივრის“ განხილვის წესი“. რომელიც აყალიბებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურებს, და მიზნად ისახავს აღნიშნულ პროცესს თანმიმდევრული და ორგანიზებული სახე მისცეს;

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც განსაზღვრავს საგნობრივ პროგრამებს, მოსწავლის შეფასების საკითხებს, საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად საჭირო საგანმანათლებლო რესურსებს და ა. შ. დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს.

სკოლის „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში“ არეგულირებს მოსწავლეებისთვის (ასევე სასკოლო საზოგადოები სხვა წევრებისთვის) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შემქნის საკითხს და მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების დაცვას და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას და ა. შ. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი და მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი; დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულება.

გარდა ამისა, სასკოლო დროს სკოლის / ან დ ამის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის № 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს“.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელიც მოქმედებს დირექტორის მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების შესაბამისად, თვითმმართველობას თავისი წარმოდგენელები ჰყავს სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში.

ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს არეგულირებს „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს.

ინდიკატორი 4.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის შინაგანაწესი განხილული იქნა პედაგოგიურ საბჭოზე, დამტკიცებული იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღეში. მოსწავლის მშობელი / კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. შინაგანაწესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები თვალსაჩინოდ არის გამოკრული სკოლის საინფორმაციო სივრცეში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმისა და შინაგანაწესის გაცნობა ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებაზე, სასწავლო წლის დასაწყისში. ზოგიერთი დოკუმენტი, ასევე განთავსებულია ასევე სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge). სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და ინფორმაციის გავრცელების პროცესის რეგულირების მიზნით სკოლა აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი“.

ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მშობელთან / მის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიზანია ორ მხარეს შორის წარმოშობილი ურთიერთობების დარეგულირება; ხელშეკრულებაში გაწერილია ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სხვა პირობები. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრულია, როგორც აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-21, 30.04.2026)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-40; 24.10.2016)*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობის და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ (N 1კ/-02 , 21.03.2026)*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ დებულება (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-63; 25.12.2025)*
- *მშობელთა კრების ოქმი 16.09.2025*
- *სკოლასა და მოსწავლის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმებით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, სკოლას შემუშავებული აქვს: „ სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის ამორიცხვის წესი“, რომელიც დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით. მოსწავლის მიერ კლასისა და საფეხურის დაძლევის საკითხები ასევე რეგულირდება, სასკოლო სასწავლო გეგმით. დოკუმენტი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცესის ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხდება; დაცულია პროცედურები და ვადები, კანონის შესაბამისად ხდება მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ პირველ კლასში ჩასარიცხად აუცილებელიდოკუმენტაციის წარდგენა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სტატუსის შეჩერების საფუძველი არის მშობლის განცხადება შესაბამისი დასაბუთებით, მოსწავლის მიერ სკოლის ზედიზედ 45 დღის განმავლობაში გაცდენა და სხვა. მოსწავლეთა მიღების, ჩარიცხვის დროს სკოლა ითვალისწინებს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში და კურიკულუმებში განსაზღვრულია სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეები, საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლების ორგანიზების ფორმები და სხვა. სკოლის შიდა ნორმატიული აქტები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმაცია ასახულია სკოლების პორტალზე არსებულ გვერდზე (skolebi.emis.ge). სკოლას, ასევე, აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook), სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის. სკოლას არ აქვს ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, რესურსების, მხარდამჭერი სერვისების,. დაგეგმილი/ განხორციელებული აქტივობების შესახებ არის გამჭვირვალე და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების მექანიზმები, შიდა და გარე კომუნიკაციის პროცესი აღწერილია „საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის წესში“. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებს საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ამ სფეროში საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხებს. აღნიშნული წესი სკოლის ყველა თანამშრომელს ავალდებულებს , კომუნიკაცია წარმართოს იმგვარად რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრული ვადა. სკოლასა და მშობელს / კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მშობლის ინფორმირების ვალდებულებას. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ არის დისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის ამორიცხვის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-10; 06.03.2024)*
- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმა 2025 -2026 სასწ. წ .*
- *პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება, 2025 წ.*

- *სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვისა და სწავლის გაგრძელების შესახებ, 2025 წ.*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-06, 10.02.2025)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლას აქვს სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის სწრაფ და თანმიმდევრულ ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული წესი მოიცავს პირველკლასელთა ადაპტაციის, სკოლაში გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის საკითხებს. პირველკლასელთა ადაპტაციის პროცესში გათვალისწინებულია ღია კარის დღის მოწყობა, ბაღებთან თანამშრომლობა;

პირველკლასელი მოსწავლეები პირველ როგში გაეცნობიან სკოლის გეოგრაფიას, გამოუმუშავდებათ სასკოლო სივრცეში დამოუკიდებლად ორიენტირების უნარი, მათი დასვენების და გართობისათვის სპეციალური სივრცე იქნება გამოყოფილი; სკოლაში ახლად გადმოსულ მოსწავლეებს დამრიგებელი წარუდგენს კლასს, დაახლოებით ერთ კვირაში კი უნდ დაიგეგმოს სადამრიგებლო საათი, მეგობრობისა და სოციუმის შესაბამისი თემატიკით; პედაგოგები ხელს უნდა უწყობდნენ ახალ მოსწავლეს აზრს გამოხატვის პროცესში, უნდა ხდებოდეს მშობლის მუდმივი ინფორმირება აქტუალურ საკითხებზე; სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკმაყოფილებს კვლევის სავარაუდო კითხვარი; ასევე რეკომენდაციები მშობლისთვის მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად.

ინდიკატორი 4.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესის“ შესაბამისად მოახდინოს მოსწავლის ადაპტაციის პროცესი; როგორც აღნიშნულ დოკუმენტში იყო წარმოდგენილი პირველი ნაბიჯების გადადგმა ჯერ კიდევ ახლომდებარე ბაღთან კომუნიკაციით იწყება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ემოციურ მხარდაჭერას: პირველ კლასელ მოსწავლეებს პირველ თვეებში არ ეძლევათ საშინაო დავალებები, სწავლობენ სკოლაში დამოუკიდებლად ორიენტაციის, რათა აუმაღლდეთ თვითშეფასება და ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობები; ახლად გადმოსულ მოსწავლის დამრიგებელი რთავს სხვადასხვა აქტივობებში , ატარებს მისი კმაყოფილების კვლევას შესაბამისა კითხვარის გამოყენებებით, გამოახატავს საჭირო ემოციურ მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლში დანერგილია მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, რომლის მიზანია სწავლა - სწავლების ხარიხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლა სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვას; შეფასების მიზანია აჩვენოს. როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი, ახერხებს თუ არა ის თავისის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას ან შეუძლია თუ არა გააზრებული და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და სხვა; შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. სკოლაში

დანერგილი განმავითარებელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს კლასისას და საფეხურის დაძლევის საკითხებს და გამოცდების ტიპებს. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს რემედიაციის დებულება.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რემედიაციის დებულება.

ინდიკატორი 4.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლაში არსებობს ადმინისტრაციული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლისთვის საჭირო ადმინისტრაციული მხარდაჭერის რეალიზებას და კანონმდებლობით გათვალისიწინებული უფლების უზრუნველყოფას. სკოლაში მოქმედებს „მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის ამორიცხვის წესი“; პირველკლასელთა რეგისტრაციის გამოცხადების შემდეგ, სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების დროულ ინფორმირებას რათა კანონით დადგენილ ვადებში შეუფერხებლად განხორციელდეს მოსწავლეთა სკოლაში რეგისტრაცია; დროულად ხდება მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება, ელექტრონული ბაზების გამართვა, რაც ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობას განაპირობებს;
სკოლას აქვს „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ , რომელიც არეგულირებს სკოლაში განცხადების საჩივრის რეგისტრაციის , განხილვის პროცედურებს.
სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის გამოცდები: სემესტრული გამოცდა, საშემოდგომო, გამოცდა, ექსტერნატის გამოცდა; მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას არ აქვს დანიშნული წლიური გამოცდა. სკოლას უზრუნველყოფს აღნიშნული გამოცდების ჩატარებას. სკოლა ქმნის გარემოს, სადაც ადმინისტრაციული მხარდაჭერის რეალიზება ხდება გონივრულ ვადაში.

ინდიკატორი 4.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა ხელს უწყობდა არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მხარდაჭერას. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზებასა და განხორციელებაში არის ჩართული. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლში ორი კლუბი ფუნქციონირებს: მკითხველთა კლუბი „ Bookbinding“ და ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი. მკითხველთა კლუბის („Bookbinding“) სამოქმედო გეგმის მიხედვით, მისი მიზანია: მოსწავლეებში წიგნიერების პოპულარიზაცია; მოსწავლის აქტიურ მკითხველებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა; კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების გაუმჯობესება, ზეპირმეტყველებისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება და საკუთარი აზრის გამოხატვის სხვადასხვა გზით გადმოცემის ხელშეწყობა; ეფექტური სოციალური კომუნიკაციის უნარების განვითარება; ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარის გამოვლენა-განვითარება. პროდუქტის შექმნა. სამოქმედო გეგმაში მოცემულია წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების მოკლე აღწერა, საჭირო რესურსები, ვადები და ა.შ.

სკოლაში საქართველოს განათლებისა, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება „სკოლის გარეშე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“, რომლის მიზანია არაფორმალური განათლების როლის ზრდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების პროცესში, მოსწავლეებისთვის საინტერსო და სახალისო სასწავლო გარემოს შექმნა, მოსწავლეებში ქართული ტრადიციული მუსიკის მიმართ ინტერესის პროვოცირება. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში საპილოტე სკოლების შერჩევა სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად განახორციელა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა და ა(ა)იპ გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის მიერ. მათ შორის არის სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა. პროექტის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო. სკოლას დადებული აქვს შრომითი ხელშეკრულება ლოტბარ-მასწავლებელთან. ხელშეკრულება ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და „ზოგადი განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 26 დეკემბრის N1850162 ბრძანებას. მოსწავლეების ჩართულობა აღნიშნულ პროგრამაში ნებაყოფლობითია. სკოლას გამოყოფილი აქვს სასწავლო ოთახი აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დასაქმებულის სამუშაო საათების ხანგძლივობა და სამუშაო დღეების რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის 2025-2026 სასწ. წ. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთერთ მიზნად გათვალისწინებულია მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით სხვადასხვა კლუბების და წრეების ჩამოყალიბება და მისი მუშაობის ხელშეწყობა.

ინდიკატორი 4.2.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მოსწავლეების/ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე განახორციელოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. სკოლა ყოველწლიურად ადგენს სამოქმედო გეგმას, რომლის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პასუხისმგებელი პირების / სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების საფუძველზე, შედეგებიდან გამომდინარე კი შეიძლება რომ შევიდეს აღნიშნულ გეგმაში ცვლილება; გარდა ამისა მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გათვალისწინებულია კურიკულუმის რევიზიის საკითხი, რომელის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლა ვალდებულია გააანალიზოს მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათ მიერ მიღწეული შედეგები, გააკეთოს შედარება გასული სასწავლო წლის მონაცემებთან და იმსჯელოს ფაქტორებზე, რომლებიც მოსწავლეთა მოსწრების ცვლილებაზე ახდენდა გავლენას; აღნიშნული მონაცემების შეჯერების - საფუძველზე კი სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის და ერთწლინი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს პრინციპით „დაგეგმე, განახორციელე, შეფასე, განავითარე“, რაც მოიცავს სასწავლო პროცესში განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას, ცვლილების შედეგად მიღებული შედეგების შეფასებას, და შეფასების შედეგებზე დაფუძნებით, საჭირო ცვლილებების განხორციელებას.

ინდიკატორი 4.2.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N2-06; 04.02.2026)*
- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სასკოლო საწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*
- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის ამორიცხვის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით, N 2-10; 06.03.2024)*
- *სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 2-21, 30.04.2026)*
- *სკოლის გარეშე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, კოდი 320211. (2026)*
- *პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება*
- *მკითხველთა კლუბი ,,Bookbinding“ სამოქმედო გეგმა (2025 -2026 სასწ.წ.)*

- *სკოლის დირექტორის 16.01.2026, N 2-02 ბრძანება სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარებისა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.*
- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.*
- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწ.წ.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული პროცესის ორგანიზება, ძირითადად ხდებს დამრიგებლების მიერ. მაგალითად, 2025-2026 სასწავლო წლის IX კლასის სადამრიგებლო პროგრამაში გათვალისწინებულია შემდეგი აქტივობები: "პროფესიების სამყარო და არჩევანი", მოსწავლეთა პროფესიული თვითგამორკვევის ხელშეწყობის მიზნით; ვიზიტი კოლეჯ "იბერია"-ში, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულ დონეზე უნდა გაეცნონ პროფესიული განათლების შესაძლებლობები, რომლებიც მათ დაეხმარებათ მომავალი კარიერული გზის სწორად დაგეგმვაში; ასევე, "ჩემი პირველი ნაბიჯები კარიერაში", რომლის მიხედვით სადამრიგებლო საათზე, მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ CV-ს შედგენა და გამოუმუშავდეთ თვითპრეზენტაციის უნარები.
სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით, სკოლაში სწავლა -სწავლების განმსაზღვრელი ერთერთი ფაქტორია კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობა კონსულტაციების და შეხვედრების შეთავაზების გზით.
სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც ერთ-ერთ მიზნად ისახავს მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციას და მათი პროფესიულ ორიენტაციის ხელშეწყობას.
რჩევა: სასურველია, სკოლამ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნები გაწეროს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.
ინდიკატორი 4.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ზრუნავს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლების ორგანიზებით, სკოლაში ეწყობა მშობელთა კრებები, სადაც ხდება მოსწავლის მშობლის / კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება ღია კარის დღეებზე, საგამოცდო ფორმატში არსებულ ცვლილებზე, ახალ პროგრამებზე, ასევე სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას, პროფესიული ორიენტაციის კუთხით, სკოლის გარეთ დაგეგმილ ვიზიტებზე.

ინდიკატორი 4.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ ითვალისწინებს სკოლაში განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასებას, ხოლო შეფასების შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელებას. სკოლის დირექციასთან განხორციელებული ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა ინტერესდება კარიერული დაგეგმვის პროცესში მის მიერ გაწეული მომსახურების შედეგებით. სკოლას აქვს მზაობა, რომ სამომავლოდ აღნიშნულ პროცესს ორგანიზებული სახე მისცეს.

ინდიკატორი 4.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მეცხრე კლასის სადამრიგებლო საათების კალენდარული გეგმა, 2025-2026 სასწავლო წელი*

- *მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლას შორის (18.06.2021)*
- *მშობელთა კრების ოქმი 20/11/2025.*
- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. სკოლა მიმდინარე პერიოდში ერიცხება სამი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრულია 2025-2026 სასწავლო წელს დაგეგმილი აქტივობები, ვადები, მათზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შესაბამის ვადებში ხდება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება.
სკოლას დამტკიცებული აქვს „ინკლუზიური განათლების პროცესის განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი“, რომლის ამოცანაა ისგ ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანობის, სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესის, ადმინისტრაციის ჩართულობის, საგანმანათლებლო რესურსების, სსსმ მოსწავლის სწავლა -სწავლების პროცესში მასწავლებლის ჩართულობის და სხვა მიზნობრივი საკითხების შეფასება. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. სპეციალური მასწავლებელი ამზადებს სემესტრულ ანგარიშებს თავისი საქმიანობის ფარგლებში.

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ არის ადაპტირებული. მთავარ შემოსასვლელში არის პანდუსი, მაგრამ შენობას არა აქვს ლიფტი/ შიდა პანდუსები. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი რესურსოთახი.

ინდიკატორი 4.2.3.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია თანამშრომლობითი აქტივობები და პროცედურები სკოლის დირექციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით.

ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება ადასტურებს, რომ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ჩართული არიან სპეციალური მასწავლებელი, დირექტორი, საგნის პედაგოგები, მშობელი. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის მიხედვით, წლის განმავლობაში გათვალიწინებულია სსსმ მოსწავლის პედაგოგებთან და მშობლებთან კონსულტირება, საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება, გასაუბრება მასწავლებელთა, მოსწავლეთა და კანონიერ წარომადგენელთა სოციალური კუტურის ამაღლების მიზნით და სხვა. სკოლას აქვს შშმ პირთა შესახებ სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ასევე პოზიტიური და ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარების გამოცდილება.

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესის მიხედვით, გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში ადმინისტრაციის და პედაგოგების ჩართულობის ეფექტიანობის, ასევე მშობლებთან თანამშრომლობის ხარისხის შეფასება.

ინდიკატორი 4.2.3.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით, N 2-50, 30.09.2025)*
- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ. წ.*

- *სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის გეგმა და მტკიცებულებები (2025 წლის დეკემბერი)*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ (N 2-48, 30.09.2025)*
- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პროცესის განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით, N 2-10, 05.06.2020)*
- *სპეციალური მასწავლებლის სემემტრული ანგარიში , 2025-2026 სასწ.წ. I სემესტრი*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში.
ინდიკატორი 4.2.4.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

ინდიკატორი 4.2.4.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

ინდიკატორი 4.2.4.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ-გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ.წ.*
- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტი.*
- *სკოლის გარეშე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, კოდი 320211. (2026) / შრომითი ხელშეკრულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3	☒ შეესაბამება

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

როგორც კათედრასთან ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, მათ კურიკულუმზე მუშაობის დროს გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები.,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის.” დოკუმენტის მიხედვითაც

კურიკულუმის შემუშავება ხდება ძირითადად მასწავლებლების, დირექციის ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყველა საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღოდა წინა სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა შედეგები, კათედრების მუშაობა. ამასთან მეთოდოლოგიის მიხედვით, კურუკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა. პედაგოგებმა აღნიშნეეს, რომ აპირებენ მეთოდოლოგიის გადახედვას და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. გასაუბრებით და კათედრის სხდომს ერთ-ერთ საკითხად განხილული კურიკულუმზე მუშაობის ჩაანაწერებით დასტურდება, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუძველზე. რაც კათედრის სხდომის ოქმში ასახული ინფორმაციის თანახმად ცალსახად აღინიშნება. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისიწინების შესაძლებლობას იძლევა. ავტორიზაციის პროცესში წამოდგენილია მშობელთა კრებების ოქმები და კითხვარები, რომლებიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ადგილზე ვიზიტის დროს, საგნობრივ კათედრაზე ინტერვიუებისას, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის ყველა წევრი ჩართულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცებულია სასწავლო წლის დასაწყისში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ უფრო მეტ საინტერესო დავალებას. დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე და ასევე კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებელები

ნამდვილად ახდნენ ძველი კურიკულუმების განხილვას და და ცვლილებების შეტანას. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, შესაძლო საჭიროებები და ინტერესები, ასევე კოლეგების შეხედულებები და რეკომენდაციები. მასწავლებლები კურიკულუმის შექმნისას განიხილავენ თითოეული თემის შესაბამის საკითხს, მსჯელობენ ამ საკითხის შესახებ მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირის.

ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ბაღდათის რაიონის, სოფელ პირველი ობჩის, გეწაძის სახელობის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. კათედრასთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და აღწერეს სკოლის პრაქტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ სასწავლო წლის დასწყისში, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობებენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს (ჩანს დამრიგებლის პორტფოლიოში არსებულ ჩანაწერებში), სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ეთიკის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლები გამოირჩევიან ინტერესით და მათთან დეტალურად ხდება დაგეგმილი სასწავლო პროცესების,მისაღწევი მიზნების, აქტივობების თუ შეფასების რუბრიკების განხილვა. მომავალში გეგმავენ არსებული კურიკულუმის გადახედვას და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს- კათედრაზე და მშობლებს - მშობელთა კრებაზე. მიღებული უკუკავშირს და მათი შეხედულებებს გაითვალისწინებენ და ასახავენ შესაბამის დოკუმენტაციაში.

ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *მშობლების უკუკავშირები (კითხვარი);*
- *მშობელთა კრების ოქმი*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შემიძლია დავადასტურო რომ შემუშავებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კურკულუმის ფარგლებში კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს და შემოქმედებით დავალებებს. **რჩევა:** როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასურველია უფრო მრავალფეროვნად იყოს წარმოადგინოთ შემოქმედებითი დავალებები ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც სწავლების პროცესი აღქმულია როგორც ცოდნის აგების პროცესი. სწავლება ეფუძნება კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეების წინარე გამოცდილება, შესაძლებლობები, ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია ითქვას, რომ უცხოური ენების სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებლი პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან მათში ასახულია თუ რა თემებს, საგნობრივ საკითხებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნულის სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია

	შემოქმედებითი/კომპლექსური ტიპის დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. *ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
ესთეტიკური აღზრდა	სოფელ ობჩის საჯარო სკოლის ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრა ცდილობს დოკუმენტი გახადოს უფრო მოქნილი, პრაქტიკული და დეტალურად გაწერილი. დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში საჭიროებს დაზუსტებას შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, რათა თემატიკის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები და შემაჯამებელი დავალებები სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებისთვის რეალისტურად დაძლევადი იყოს. კურიკულუმის შინაარსი ეფუძნება სასწავლო სახელმძღვანელოებს, სამინისტროს კომპლექსური დავალებების ბანკში არსებულ რესურსებს და მოსწავლეებს სთავაზობს საკითხების მრავალმხრივ შესწავლას — პროექტების, ინდივიდუალური და ჯგუფური შემოქმედებითი აქტივობების საშუალებით. ინტერვიუს დროს, ასევე, აღინიშნა, რომ პედაგოგები აცნობიერებენ სასწავლო რესურსების გაფართოებისა და მრავალფეროვნების საჭიროებას და აღნიშნული მიმართულებით გეგმავენ შესაბამის ნაბიჯებს. ინტერვიუს შემდეგ კურიკულუმებში განხორციელებული ცვლილებებისა და დაზუსტებების გათვალისწინებით,ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისობაში მყოფი. **რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და შინაარსი; დაწყებით და საბაზო საფეხურზე დაზუსტდეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და მოხდეს არსებული რესურსების კიდევ უფრო მრავალფეროვანი გამოყენება. *ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ შემოქმედებითი ხასიათის დავალებებში. კურიკულუმში

	გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული თემები, სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ბუნების დავალებებს. **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის (მაგალითად, მე-5, მე-7, მე-10,მე-11 კლასის) კურიკულუმი,რათა სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში მიუთითოთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფარგლებში. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ინტერესითა და ხალისით მუშაობენ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ დავალებებზე. კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს -სამიზნე ცნებები ლოგიკურადაა გადანაწილებული თემების მიხედვით და ფარავს სასწავლო წლისა და საფეხურის სრულ მოცულობას. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სამივე საფეხურზე სრულად პასუხობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. წარმოდგენილ დოკუმენტებში ნათლად არის ფორმულირებული გრძელვადიანი მიზნები, სასწავლო აქტივობები და ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებზე მუშაობაც მოსწავლეებს მოუწევთ. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით შერჩეული სპორტული მიმართულებები ქმნის პირობებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.

	ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმები I-VI კლასში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები; სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. *ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ შემოქმედებითი დავალებები. *ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმებში, სამივე საფეხურზე, ჩანს კავშირი სტანდარტთან და სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. კურუკულუმებში ასახულია ძრითადი თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით და სამიზნე ცნებები. **რჩევა:** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე ძირითადი საგნების კურიკულუმებთან ერთად წარმოადგინოთ კურიკულუმები შემდეგ არჩევით საგნებში: ბიოსამედიცინო და ასტრონომია. *ინდიკატორი* 2.1.2.2 *შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას განსაზღვრული აქვს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი მიზნები. სწავლების პროცესი ფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სწავლება აგებულია კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებით და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. **რჩევა** კურიკულუმების შემუშავების პროცესში გარკვეულ შემთხვევებში კონტექსტ მაგალითები საჭიროებს შეცვლასა და დახვეწას. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ სამიზნე ცნებები, საკითხები და ქვესაკითხები კიდევ უფრო მეტად სრულყოფილად იყოს თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და დაემიზნოს მათ , კერძოდ ცნებები დაეფუძნოს საგნობრივ სტანდარტებს : მაგ- საგან : „მე და საზოგადოება“, „გეოგრაფია“ და „მოქალაქეობა“ ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	ორივე უცხოური ენის შემთხვევაში სამივე საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სტანდარტების მოთხოვნებს. ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება როგორც საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, მასში მოცემული /თემები/საკითხები ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურების შედეგები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. არჩეული სასწავლო აქტივობები ემსახურება ცოდნისა და უნარების განვითარებას. ინტეგრირებული გაკვეთილები (ინგლისური+ქართული) და კომპლექსური დავალებები ნათლად აჩვენებს, რომ სწავლება სცილდება ერთ საგანს და ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს სხვადასხვა კონტექსტში. სასურველია სამომავლოდ ორივე უცხოური ენის კურიკულუმები შემუშავდეს შემდეგი **რჩევების** გათვალისწინებით: 1. უმჯობესია კურიკულუმის ჩარჩოში ყველა გრაფა იყოს შევსებული;

	2. ორივე უცხოურ ენასთან მიმართებით სამივე საფეხურის კურიკულუმში ყველა ეროვნულის სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემის ფარგლებში განისაზღვროს შემოქმედებითი პროდუქტი (ყველა თემის ფარგლებში არ არის); 3. ინგლისური ენის V, Vl, Vll და X კლასისა და გერმანული ენის Vll-X კლასის კურიკულუმების ყველა თემაში სამიზნე ცნებების ფორმულირება მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; 4. გადაიხედოს უცხოური ენის კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებითი/კომპლექსური ტიპის დავალების პირობა, რათა მისი ფორმულირება მეტად მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და წარმოაჩენდეს პროექტის ძირითად ჩანაფიქრს, მოსწავლის საქმიანობასა და მოსალოდნელ საბოლოო პროდუქტს, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს როგორც დავალების მიზნის უკეთ გააზრებას, ისე სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე კურიკულუმის შემუშავება ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ძირითად პრინციპებს. ესთეტიკური კათედრის საგნობრივი პროგრამა შესაბამისობაშია ეროვნულ სტანდარტებთან, თუმცა, შედარებით ნაკლებად არის გათვალისწინებული ადგილობრივი საჭიროებები და კონტექსტური თავისებურებები. მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში, განსაზღვრავენ როგორც შუალედურ, ისე გრძელვადიან მიზნებს. ამასთან, სასწავლო პროცესში ნაკლებად იკვეთება რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პრაქტიკული და შემოქმედებითი აქტივობების გამოყენება. მიზანშეწონილია, ესთეტიკური განათლების მიმართულებით უფრო დეტალურად გაიწეროს ისეთი აქტივობები, რომლებიც ერთდროულად შეუწყობს ხელს ეროვნული მიზნების მიღწევასა და ადგილობრივი კულტურული ელემენტების ინტეგრირებას. სკოლის შიდა დოკუმენტაცია — თემატური გეგმებიდან შეფასების სისტემამდე —

	სტრუქტურულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ორიენტირებულია მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარების მხარდაჭერაზე. **რჩევა:** ესთეტიკური განათლების მიმართულებით დაიგეგმოს და გაიწეროს ისეთი აქტივობები, რომლებიც სასწავლო პროცესში პედაგოგებს მისცემს შესაძლებლობას, ეროვნული მიზნების შესრულებასთან ერთად, ეფექტიანად მოახდინონ ადგილობრივი კულტურის ინტეგრირებაც. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია შემოქმედებითი ბუნების დავალებით. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე. ***ინდიკატორი2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	 მათემატიკაში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. დავალებები და აქტივობები ისეა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული

	სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას . **რჩევა:** მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა, სრულყოფილად შეავსონ ყველა კლასის კურიკულუმი, ჩააშენონ მათში კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები. ***ინდიკატორი2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სამივე საფეხურისთვის ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებსა და პრიორიტეტებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, რაც ხორციელდება მრავალფეროვანი პრაქტიკული აქტივობებით, მათ შორის: სპორტული ფესტივალებით, პროექტებითა და კონფერენციებით. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობის, გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობითი უნარების ჩამოყალიბებას ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში და გადმოგზავნილ მასალებშიც ჩანს; ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს

	შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნებას. სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი **ბუნებისმეტყველების,მათემატიკის,სახელმწიფო ენის** პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. *ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ვადასტურებ რომ სამივე საფეხურზე კურუკულუმით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. რესურსები წარმოდგენილია სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) *ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის საგანმანათლებლო რესურსები ხელს უწყობს სწავლა სწავლების პროცესსა და მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის გაუმჯობებისკენ. *ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*

უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები პირდაპირ კავშირშია სამიზნე ცნებებთან და ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. პედაგოგები ძირითად რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამატებით მითითებულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსი, რაც ხელს უწყობს როგორც აქტიურ და ჩართულობაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას, ისე სასწავლო შედეგების ეფექტიანობის მიღწევას. **რჩევა:** 1. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. თემასთან და შემოქმედებით პროდუქტთან მიმართებით რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, სასურველია, აუდიო-ვიდეო მასალის მითითება შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. 2. ასევე მნიშვნელოვანია, თითოეული რესურსის შინაარსობრივი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ზუსტი შესაბამისობა კონკრეტულ თემებთან, სასწავლო საკითხებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები — როგორც საგანმანათლებლო, ისე მატერიალურ-ტექნიკური — მაწავლეები ნამუშევრებს ქმნიან ბუნებრივი და მეორადი მასალების გამოყენებით, ამზადებენ თემატურ კოლაჟებსა და პრეზენტაციებს, ხოლო ვიზუალური რესურსების დახმარებით ეცნობიან სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნიმუშებს. მუსიკის გაკვეთილებზე გამოიყენება აუდიოჩანაწერები, რიტმული სავარჯიშოები და ხელნაკეთი ინსტრუმენტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პრაქტიკულ ჩართულობასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ასევე, პედაგოგები სასწავლო პროცესში ინტეგრირებულ აქტივობებსა და ჯგუფურ დავალებებს იყენებენ, რაც თანამშრომლობითი გარემოს შექმნას უწყობს ხელს.რესურსების შერჩევა და გამოყენება მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევისკენ, ამავდროულად, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. სასწავლო რესურსების ეფექტიან

	გამოყენებას ხელს უწყობს პედაგოგთა თანამშრომლობა, კათედრის ფარგლებში რესურსების ურთიერთგაზიარება და კოორდინირებული მუშაობა. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა, რომლებიც შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ასევე, მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, სწავლა- სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ, ციფრულ მასალებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების და შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს , არამედ ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს , რაც მოსწავლეებს ეხმარებათ მათემატიკის უფრო მარტივად და სახალისოდ შესწავლაში. ასევე კათედრაზე იყენებენ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილ რესურსებს, რომელიც გასაუბრების დროს წარმოადგინეს .

	ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
სპორტი	კურიკულუმების ფარგლებში შერჩეული სასწავლო რესურსები წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას მოსწავლეთა მიერ გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად. ძირითად და დამხმარე საგანმანათლებლო მასალებთან ერთად, გამოყენებულია პრაქტიკული და თვალსაჩინო რესურსები, რომლებიც სრულად პასუხობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. რესურსების მრავალფეროვნება (სპორტული ინვენტარი, ელ. წიგნები) ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინდიკატორების დაძლევა. **რჩევა:** სასწავლო პროცესის კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვისა და კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია დაწყებით საფეხურზე, კერძოდ პირველი კლასის კურიკულუმს დაემატოს რესურსების დეტალური ჩამონათვალი. რესურსების შერჩევისას მნიშვნელოვანია მრავალფეროვნება, რაც დაეხმარება მოსწავლეებს როგორც პრაქტიკული უნარების ათვისებაში, ისე თეორიული მასალის გააზრებაში ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. (გამარჯობა რუბი, ელ რესურსი https://school.emis.ge/ კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები არაგრიფირებული დამხმარე სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, განათლების სამინისტროს მოწოდებული და ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით

	გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია დაწყებითი **საფეხურის** საგანმანთლებლო პროგრამის სახელმწიფო ენის,მათემატიკისა და **ბუნებისმეტყველების** პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ **ბუნებისმეტყველების საგნის** სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების და ცდების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ვირტუალური ან/და ვიდეო ან/და **მარტივი** რეალური (ცოცხალი) ექსპერიმენტები და ცდები. **რჩევა:** სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღვროს დასახელება, სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერსებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებისა დაგეგმვისას. გათვალიწინებული დიფერენცირებული მიდგომები. ამას ადასტურებს, როგორც კათედრის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებისა და შემაჯამებელის ანალიზის ნიმუშები, ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. იგი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის უნარების

	გამოვლენასა და განვითარებას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა სასკოლო აქტივობაში. ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ეს ნათლად ჩანს როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში, ისე საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებით პროდუქტის იდეებში. აღსანიშნავია, ვიზიტისას მასწავლებელთა მსჯელობა სასწავლო პროცესის დიფერენცირების შესახებ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლას ყავს სსსმ მოსწავლე და წარმოდგენილი მოდიფიცირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები უცხოურ ენებში დამაკმაყოფილებელია. ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სასწავლო პროცესი დგინდება ინკლუზიურობის და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ აკადემიურ დონეს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს და ამ მრავალფეროვნებაზე მორგებულად გეგმავენ სწავლებას. ინდივიდუალურად უდგებიან მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა. ასევე, აღინიშნა, რომ ესთეტიკური კათედრის პედაგოგებს აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. მათ იციან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საჭიროებებზე მორგებული აქტივობების გაწერა და შესაბამისი სასწავლო რესურსის მომზადება. მოსწავლეთა დიფერენციაციისთვის, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან დავალებებს, მოქნილ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებსა და ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ფორმებს. და მაინც, საჭიროა რჩევის სახით ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე საკითხი: **რჩევა:** • მოქნილი, მოსწავლეზე მეტად მორგებული ისგ-ს შექმნა, სადაც ნათლად გამოჩნდება თემის ფარგლებში დასამუშავებელი აქტივობები. • მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკების შექმნა; შუალედური მიზნების სწორად განსაზღვრა და მუდმივი თანამშრომლობა სხვა საგნების პედაგოგებთან და მშობლებთან.

	ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. **რჩევა:** შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული/ან და ინკლუზიური მიდგომები. *ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
მათემატიკა	კათედრის წევრებთან ინტერვიუმ ცხადი გახადა, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ამას ადასტურებს ის აქტივობები რომლებსაც ახორციელებენ ისინი სასწავლო პროცესის დროს. მოსწავლეებს აქვთ უფლება თავიანთი სურვილზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით აირჩიონ ესა თუ ის აქტივობა და დავალების წარდგენის ფორმატი ეს იქნება ციფრულად თუ მატერიალურად ,რაც ასევე ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება პირობის გართულება და პირიქით, ასევე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დავალება წარმოედგინათ სხვადასხვა ფორმით , ფორმატზე, ელექტრონულად, ნახატებით , მაკეტით. *ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
სპორტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური. სწავლებაში გამოყენებული

	დიფერენცირებული სტრატეგიები უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მრავალფეროვნებას, რაც საშუალებას აძლევს როგორც განსაკუთრებული საჭიროებების, ისე განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს, თანაბრად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში. აღნიშნული მიდგომა ქმნის თანაბარ პირობებს წარმატებისთვის და ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო კლიმატის ჩამოყალიბებას. ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. პედაგოგებთან გასაუბრებამაც დაადასტურა, რომ მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას . აღსანიშნია ის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების დავალებები და შემაჯამებელი დავალებებში, არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:** **დაწყებითი საფეხურის,** I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება)საგნების **შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.** ***ინდიკატორი2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), რაც ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებს. **რჩევა:** სასურველია V-VI კლასის ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო კათედრასთან და გაიზიარონ კოლეგების გამოცდილება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა მრავალფეროვანი და მოსწავლეზე ორიენტირებულია, რაც ხელს უწყობს მათი აკადემიური ცოდნისა და უნარების განვითარებას. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და სწავლა-სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ორივე ფორმა მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისა და სასწავლო ამოცანების მიღწევისაკენ. **რჩევა:** მიზანშეწონილია, შეფასების პროცესი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. ასევე სასურველია, შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ასახავდეს ესგ-ის მოთხოვნებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების ფარგლებში გაძლიერდეს ისეთი უკუკავშირი, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებასა და სასწავლო მიზნების ეტაპობრივ მიღწევაში. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	 მოსწავლეთა შეფასების სისტემა მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მიღწევების განსაზღვრას, მხარდაჭერასა და მისი განვითარების დინამიკის ჩვენებას. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	 ესთეტიკური საგნების სწავლებისას, მოსწავლის შეფასების სისტემა ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს — ის ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე, ჩართულობასა და განვითარების მხარდაჭერაზე. ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლები, იყენებენ განმსაზღვრელი

	და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკებს, რომელიც მეტად დასახვეწია შინაარსობრივი თვალსაზრისით და მოსარგებია კონკრეტულ შესასწავლ თემებსა თუ საკითხებზე. სასურველია, პრაქტიკაში დანერგონ და გამოიყენონ სხვა, ეფექტური შეფასების ფორმებიც: კომენტარები, თვითშეფასება, თანატოლთა ურთიერთშეფასება და დაკვირვება. ეს მეთოდები მასწავლებლებს და მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას, გააცნობიერონ საკუთარი პროგრესი, გაიგონ, რა მიმართულებით სჭირდებათ განვითარება და მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი. ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების პროცესის გამჭვირვალობას — მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, აქტიურად მონაწილეობენ მიზნების დასახვასა და შედეგების ანალიზში. ასევე, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები: შეფასება მორგებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე და ემსახურება არა შეფასებას "შეფასებისთვის", არამედ განვითარების პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას. **რჩევა:** გამრავალფეროვნდეს არსებული და ყველა თემისა და საკითხის ფარგლებში შეიქმნას შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების საგნებში. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.:ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. **რჩევა:** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-

	მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (შემოქმედებითი /შემოქმედებითი ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე სკოლა ახორციელებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. კათედრის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვს, რომლებიც ნიმუშის სახით წარმოადგინეს. ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სპორტი	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივ სტანდარტებს. წარმოდგენილ რუბრიკებში მკაფიოდ არის ასახული კავშირი მიღწევის ინდიკატორებსა და გრძელვადიან მიზნებს შორის. მასწავლებლებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ სკოლაში დანერგილია შეფასების კომპლექსური მიდგომა: განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მოსწავლის უწყვეტი პროგრესის მხარდასაჭერად, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება — მიღწეული შედეგების ობიექტური შეჯამებისთვის. შეფასების ამგვარი სისტემა იძლევა შესაძლებლობას დროულად მოხდეს მოსწავლის საჭიროებებზე რეაგირება. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; პედაგოგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების სახელმწიფო ენა, მათემატიკა,ბუნებისმეტყველების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების ან/და საკითხების/ქვესაკითხებთან მიმართებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; ***ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები;*
- *საგანმანათლებლო რესურსები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმები ასევე მოსწავლეთა ნამუშევრები ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურუკულუმის შესაბამისად. **რჩევა :** სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს კურიკულუმებში საათების რაოდენობის მითითებას. ***ინდიკატორი 2.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლა-სწავლების პროცესი თანხვედრაშია სკოლის მიერ დაგეგმილ და შემუშავებულ კურიკულუმთან. გამოყენებული მეთოდები და შეფასების ფორმები შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებსა და სასწავლო შედეგებს. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ. უცხოური ენების კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით. კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგემილი აქვს შემოქმედებითი დავალებების/არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია სადაც ჩანს, რომ მოსწავლეები ქმნიან საინტერესო შემოქმედებით დავალებებს და კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები პრაქტიკაში რეალურად ხორციელდება. ***ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სსიპ სოფელ ობჩის საჯარო სკოლა წარმოადგენს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სკოლაში, ესთეტიკურ კათედრას ჰყავს მუსიკის და ხელოვნების სერტიფიცირებული, კომპეტენცია დადასტურებული, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე კადრები. ასევე, დაწყებით საფეხურზე მოცემულ საგნებს ატარებენ დაწყებითი საფეხურის პედაგოგები. აღინიშნა, რომ არ იკვეთება ადამიანური და მატერიალური რესურსების სიმწირე და არ იგეგმება ვაკანსიის გამოცხადება. ასევე, დაწყებითი კლასების პედაგოგები რეგისტრირდებიან კომპეტენციის დამადასტურებელ საგნობრივ გამოცდაზე და მოიპოვებენ საგნის სწავლების უფლებას. 2025 წელს დაწყებული კურიკულუმის განახლების პროცესში, სკოლის დირექციამ და ესთეტიკის კათედრამ პრიორიტეტად დაისახეს თემის ინტერესების გათვალისწინება. ერთობლივად შემუშავებული მიდგომის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფლად ძლიერია ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციების სიყვარული — ბევრი ოჯახი ფლობს ხალხურ სიმღერებსა და საკრავებს, ხოლო სასკოლო ღონისძიებები ხშირად აერთიანებს ფოლკლორს, ქორეოგრაფიასა და გამოყენებით ხელოვნებას. მუსიკის მასწავლებელმა გადაწყვიტა, კურიკულუმის ფარგლებში აქცენტი გაეკეთებინა ადგილობრივი ფოლკლორის შესწავლასა და შესრულებაზე. საკლასო პროცესში მოსწავლეებს

	საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხურ საკრავებს: ფანდური, ჩონგური, დოლი, სალამური და შედეგად შეძლეს შეექმნათ ხალხური საკრავები მეორადი გამოყენების ნივთებით, საღებავებით, ქაღალდებით და ა.შ. შესაბამისად, სწავლება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების პროცესად იქცა. ხელოვნების მასწავლებლის აქტიურობით ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიზნად ისახავს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციას სასკოლო საზოგადოებაში. გამოფენები მრავალფეროვანი თემატიკისაა. სასურველია, მოსწავლეებს შევთავაზოთ აქტივობები, სოფლის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. მაგ: ადგილობრივი ტაძრები და ღირსშესანიშნაობები, აღმოჩენილი უძველესი ნივთები და ა.შ. მოსწავლეებს დაევალოთ შექმნან თემატური პოსტერები, დახატონ აკვარელით, მოამზადონ გრაფიკული კომპოზიციები ტრადიციული არქიტექტურის ელემენტებით. ზოგიერთი აქტივობა ინტეგრირდეს ადგილობრივ მეურნეობებთან — მოსწავლეები ესტუმრნონ ფერმერებს, გადაიღონ ფოტოები და შექმნან ვიზუალური ნამუშევრები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს პროფესიონალური სახელოსნო ან მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მასწავლებლებმა უნდა მოახერხონ კრეატიული გზების პოვნა: გამოიყენონ ხელმისაწვდომი მასალები, აქტივობებში ჩართონ მშობლები, რომელთაგან ზოგიერთს ხელსაქმეში დიდი გამოცდილება აქვს და თავიანთი ცოდნას ბავშვებსაც გაუზიარებენ. ეს ყველაფერი ნათლად აჩვენებს, როგორ შეიძლება სასკოლო კურიკულუმი ფორმირდეს კონკრეტული სკოლის სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან და როგორ შეიძლება იგი გადაიქცეს თემისა და სკოლის თანამშრომლობის ჭეშმარიტ არენად. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. **რჩევები:** **სასურველია,** სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. **სასურველია,** ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. მუსიკალური ფოლკლორისა

	და ღირსშესანიშნაობების, ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცებას. **სოფლის** სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა. **სასურველია,** მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები). **სასურველია,** სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანაგრიშიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, შემოქმედებითი დავალებების, რესურსებისა და აქტივობების შერჩევა. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ინტეგრირებული თემები პრაქტიკაში ხორციელდება, რაც დასტურდება გაკვეთილის გეგმებით, შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა რეფლექსიით. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ისინი მიჰყვებიან საგნობრივ კურიკულუმებს და ასევე ასახავენ ცვლილებებს, რომლებიც იკვეთება მუშაობის პროცესში. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	მათემატიკაში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად, სადაც საგნობრივი სტანდარტების პრაქტიკული რეალიზება ხდება სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და

	სპორტული რესურსების გამოყენებით. გამოყენებული საგანმანათლებლო ინსტრუმენტები და აქტივობები მიზანმიმართულია კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად. არსებული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას და მის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში — თეორიული ცოდნის დაუფლებიდან პრაქტიკული სპორტული უნარების განვითარებამდე. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). დაასახელა შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტისმოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული,ბუნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, მიემართება გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება უნიკალურია და შესაბამისად გეგმავენ ცვლილებები შეიტანონ და უფრო მოქნილი გახადონ კურიკულუმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

საჭიროებებიდან შემთხვევაში სკოლა რეაგირებს მოქნილად. .სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად; მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე გადაიხედება არსებული კურიკულუმები. სკოლას აქვს თანამშრომლობის კულტურა. სკოლის ბაზაზე, თანამშრომლებს შორის მიმდინარეობს გამოცდილების გაზიარება. სკოლის „კურირულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში,ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. მათემატიკის კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოდ აღნიშნული მიდგომების მიმართ თავიანთი მზაობა.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, ადასტურებს რომ სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებისკენ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა წარმოადგენს მოსწავლეთა სწავლის პროცესის გააზრებისა და ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. იგი დაკავშირებულია გრძელვადიან სასწავლო მიზნებსა და ამოცანებთან, რის საფუძველზეც ფასდება მოსწავლის პროგრესი და მიღწევები. **რჩევები::**

	1. მოსწავლის ნაშრომის შეფასებისას უფრო ნათლად და გამოკვეთილად იყოს წარმოდგენილი არა მხოლოდ მიღწეული შედეგები, არამედ ის შედეგებიც, რომლებიც მოსწავლემ უკვე დაძლია და რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს განვითარებას. 2. მიღწეული შედეგების შემდგომი განვითარების მიზნით, მოსწავლეებს რჩევის სახით შეიძლება შესთავაზონ მიზნობრივი და პრაქტიკული აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესებაში ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე არსებული და გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია თემების ფარგლებში და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ მასში ჩანს მკაფიო კავშირი საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგს შორის. ამის დამადასტურებლად დოკუმენტაციის სახით მიღებული მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები სრულიად დამაკმაყოფილებელია, რომლებიც, როგორც ინტერვიუს დროს გამოჩნდა, ეყრდნობიან: საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და წინარე გამოცდილებას. შეფასების რუბრიკები ხელმისაწვდომია სრულიად სასკოლო საზოგადოებისთვის. **რჩევა:** სასურველია, უცხოურ ენების კურიკულუმში განსაზღვრული ყველა შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკა წინასწარ შემუშავდეს და თანდართული იყოს მეტი თვალსაჩინოებისთვის. ***ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების საგნების მიმართულებით შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. შეფასება მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო პროცესის შინაარსს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იყენებენ იმ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოხატოს საკუთარი შემოქმედებითი იდეა და რეალურად წარმოაჩინოს კომპეტენცია, თუმცა, დავალებების მრავალფეროვნება ნაკლებად იკვეთება ნამუშევრების თვალიერებისას. ძირითადად, შეფასების საგანს წარმოადგენს მოსწავლეთა პრეზენტაციები, ნახატების გამოფენა, საზეიმო ღონისძიებები. სასურველია, გამრავალფეროვნდეს დავალებათა ნუსხა: მუსიკალური კომპოზიციის შესრულება,

	ინსცენირება, მხატვრული ჩანახატის შექმნა თუ პრეზენტაცია ხელოვნების საკითხების შესახებ. თითოეული დავალება უნდა შეფასდეს წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით , რაც უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურობასა და სტაბილურობას. მოსწავლეებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, როგორ და რა საკითხსა თუ თემაზე აფასებენ მათ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხშირად გამოყენებულია სიტყვიერი, განმავითარებელი უკუკავშირი, რაც ეხმარება მათ პროგრესის გაგებაში. მასწავლებლები უთითებენ როგორც ძლიერ მხარეებს, ისე იმ ასპექტებს, რომლებზეც მუშაობაა საჭირო. **სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ეს გაზრდის პროცესის დოკუმენტურ გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს უკუკავშირის ხარისხს. **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. შეფასების სისტემამ უკვე აჩვენა პოზიტიური შედეგები, თუმცა მისი განვითარების საჭიროება კვლავ არსებობს – განსაკუთრებით ტექნოლოგიების, მოსწავლეთა ჩართულობისა და მეთოდოლოგიური გამრავალფეროვნების მიმართულებით. **რჩევები:** ▪ **სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ▪ **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. ▪ **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს.

	ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქიდან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. *ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
მათემატიკა	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. *ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*
სპორტი	სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკებისა და პედაგოგებთან გასაუბრების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი, რაც სასწავლო პროცესს ნათელსა და პროგნოზირებადს ხდის. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასების უნარის განვითარებას. ისინი თავად აანალიზებენ საკუთარ მიღწევებს, აცნობიერებენ ძლიერ თუ სუსტ მხარეებს და აქტიურად მონაწილეობენ წინსვლის დაგეგმვაში. ეს ყოველივე კი მნიშვნელოვნად ზრდის მათ პასუხისმგებლობასა და სასწავლო მოტივაციას. *ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*

ტექნოლოგიები	პედაგოგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას.დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის მიერ დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმის მარეგულირებელი დოკუმენტი, რაც ითვალისწინებს შეფასების სისტემის განხილვას გადახედვას, ცვლილების შეტანას. ცვლილების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალს. დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია დაწესებულებაში შეფასების სისტემა იყოს სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე პროცესი, ასევე სამართლიანი და ობიექტური. დოკუმენტში წარმოდგენილია ვერიფიკაციის პრინციპები, მიზნები, ამოცანები და აღწერილია ვერიფიკაციის პროცესი.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა ინახავს მოსწავლეთა შეფასების დამამტკიცებელ დოკუმენტაციას არანაკლებ 3 წლის ვადით. რომელიც ასევე გამოიყენება სკოლის ხარისხის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად, მონიტორინგისთვის. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს, ასევე გამოყოფილი ჰყავს ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026);*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა.*
- *სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები საგნების მიხედვით;*
- *მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების ამსახველი მასალა;*
- *ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა,.*
- *განხორციელებული პროექტები სამივე საფეხურზე;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე დამატებითი რესურსები, რომლების ასახულია კურუკულუმშიც. დახმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და სიღრმისეული ცოდნის მიღებას. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები სკოლაში აქტიურად და მიზანმიმართულად გამოიყენება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რამდენადაც იგი მოიცავს ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მათში მოცემულ დამატებითი მასალების ბმულებს და რიგ შემთხვევებში დამატებით ელექტრონულ რესუსრსებს, რომელებიც, საბოლოო ჯამში, მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებს, სამიზნე ცნებებს და შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. რესურსები განსაზღვრულია კლასებისა და საგნების მიხედვით უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურზე, ორივე უცხოური ენის შემთხვევაში, ყველა კლასის ყველა კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს ელექტრონული თუ მატერიალური (ბეჭდური, ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები; საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები; მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და ა.შ.) რესურსების მრავალფეროვნება მოცემული საკითხების შესაბამისად. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი სასწავლო რესურსი სასკოლო სახელმძღვანელოა. მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებით ვერ მოხდება საჭირო სასწავლო თემატიკის შემუშავება. მასწავლებლები საკუთარ გამოცდილებას უშურველად

	უზიარებენ მოსწავლეებს და გეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს კურიკულუმის განვითარებისთვის, რომელშიც მეტად გაითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს კურიკულუმის დაგეგმვამდე. **სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, კულტურული ტურიზმი, ტრადიციები, ადგილობრივი ფოლკლორი) შესაბამისი თემები. **სასურველია,** დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. ადგილობრივი ინტერესების ასახვის ერთ-ერთი პრაქტიკული გზა თემთან თანამშრომლობითი პროექტებია: ერთობლივი გამოფენები, ხალხური სიმღერის კონცერტები, თემატური დღეები, ექსპედიციები და ა.შ. **რჩევები: სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ: ადგილობრივი ფოლკლორი, სოფლის მეურნეობა, ღირსშესანიშნაობები, ტრადიციები და რიტუალები) შესაბამისი თემები. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.

	რჩევა: სასურველია, სკოლამ კურიკულუმში ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს), რათა მოხდეს სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, ძირითადი რესურსი არის სახელმძღვანელო, ასევე მითითებულია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ math.ge-ს რესურსებს, გეოგებრას, დესმოსს, ასევე თავად ქმნიან მრავალფეროვან რესურსებს . შერჩეული რესურსები შესაბამისია გაკვეთილის მიზნის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროსაც. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	სასწავლო პროცესი ეყრდნობა კურიკულუმში გაწერილ რესურსებს, რომელიც შერჩეულია კონკრეტული თემებისა და კომპლექსური დავალებების სპეციფიკის გათვალისწინებით. ძირითადი და დამხმარე რესურსების ერთობლიობა ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას და მოსწავლეებისთვის საგნის მიმართ ინტერესის გაღვივებას. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და საზროვნო უნარების განვითარებისკენ. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად

	ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები / ინტერაქტიული სიმულაციები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლის რესურსები, მაგალითად, პრეზინტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქიდან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეივსოს დამატებითი რესურსებით: კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები .სასურველია, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. სკოლა იყენებს როგორც სკოლაში არსებულ მატერიალურ რესურსებს ასევე დამხმარე ელექტრონულ რესურსებსაც. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ და ეფექტურ წარმართვას. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში ძირითად რესურსად სახელმძრვანელოებია მითითებული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე წინასწარ თანხმდება ახალი დამხმარე სასწავლო მასალა და მისი მიზნობრიობა. ხოლო, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მითითებულ დამხმარე სასწავლო რესურსებს შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროს. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების (ესთეტიკის) კათედრა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესის მიზნობრიობასა და სანდოობას. სასწავლო რესურსის ვალიდაცია განიხილება, როგორც სწავლის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი. დამხმარე რესურსების გამოყენება ხდება წინასწარ დაგეგმილი თემატიკისა და სასწავლო მიზნების მიხედვით. რესურსის შერჩევისას პედაგოგები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და უნარებს. გამოყენებული მასალები თანხვედრაშია ასაკობრივ მოთხოვნებთან და თემის შინაარსთან. სკოლაში აქტიურად გამოიყენება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული და ვიზუალური მასალები: მუსიკალური ჩანაწერები და ვიდეოფრაგმენტები; ხელოვნების ნიმუშების ფოტოარქივები; სამუშაო ფურცლები და პრეზენტაციები; დარგობრივი სხვადასხვა ელექტრონული რესურსები. . მასწავლებლები ხშირად ახდენენ მასალების ადაპტაციას მოსწავლეთა დონესა და საჭიროებებზე მორგებულად, რაც დადებითად აისახება მათ ჩართულობასა და აქტივობაზე. რესურსების შერჩევისას კათედრის წევრებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მასალების შინაარსობრივ შესაბამისობას და რესურსების სანდოობის გაზრდას. ასევე ხდება რესურსების გაზიარება ერთმანეთში – რაც ერთგვარად ქმნის შიდა კოლექტიურ ბიბლიოთეკას. **რჩევები:** • მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, სასურველია მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. • სასურველია, სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არასანდო მასალის გამოყენება.

	• სასურველია, შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები. • დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას. კათედრაზე, დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია პრაქტიკაში ხორციელდება გააზრებულად და მიზანმიმართულად. ის უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და საგნობრივი მიზნების მიღწევას. მიუხედავად დადებითი პრაქტიკისა, მნიშვნელოვანია პროცესი გახდეს უფრო ფორმალიზებული და დოკუმენტურად მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო გაამყარებს რესურსის სანდოობასა და ეფექტურობას. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **რჩევა:** სასურველია, კათედრის დონეზე დამხმარე რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის კიდევ უფრო გაძლიერება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი დამატებითი მასალა გადიოდეს ვალიდაციას (შესაბამისობა ესგ-სთან, მეცნიერული სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა გარანტირებული იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	კურიკულუმში ჩაშენებული რესურსები შეთანხმებულია კათედრაზე და შერჩეულია ისეთი მიზნობრივი რესურსები, რომლებიც უკვე გამოიყენეს და ნახეს მათი ეფექტურობა, ისინი იყენებენ ისეთ დამხმარე რესურსებს, რომლების რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ.

	ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
სპორტი	დამხმარე სასწავლო რესურსების გადამოწმება და ვალიდაცია ხდება საგნობრივ კათედრაზე, სკოლაში არსებული შიდა რეგულაციების მიხედვით. კათედრის წევრები ერთობლივად აფასებენ შერჩეული მასალების ვარგისიანობას, რაც გარანტიაა იმისა, რომ სასწავლო პროცესში მხოლოდ ხარისხიანი და სათანადო რესურსები იქნება გამოყენებული ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას (გამარჯობა რუბი, ელ რესურსი https://school.emis.ge/ კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები არაგრიფირებული დამხმარე სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **დაწესებულებას ეძლევა რჩევა:** სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და სხვა მატერიალური რესურსები, რაც შესაძლებლობას იძლევა გახორციელდეს კურუკულუმით განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობები. ვადასტურებ რომ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს კურუკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას სამივე საფეხურზე. **რჩევა:** დაიცავით უსაფრთხოების წესები ლაბორატორიაში ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა სრულად უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესისთვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებსა და თვალსაჩინოებებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ წარმართვას. ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები. ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ესთეტიკური აღზრდა	სოფელ ობჩის საჯარო სკოლაში, ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. სწავლების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის დაბალანსებული თანხვედრა. მუსიკისა და ხელოვნების საგნებისთვის სკოლაში არ არის გამოყოფილი სპეციალური საკლასო სივრცეები (მაგ: მუსიკის საკლასო ოთახი რომ იყოს აღჭურვილი ინსტრუმენტებით: ფორტეპიანო; რიტმული აქტივობისთვის საჭირო - მარაკასები, შეიკერები, დოლი და ა.შ., ხოლო ხელოვნების საკლასო სივრცე უზრუნველყოფილი იყოს მოლბერტებით, სახატავი მასალებით და აუცილებელი ინვენტარით.). თუმცა, შესაძლებელია

	როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება. მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ უნარებსა და მიზნებს. მაგალითად, მხატვრულ საქმიანობაში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოიყენონ სხვადასხვა ტექნიკა და მასალა – რაც აძლიერებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს. მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეები მუშაობენ როგორც სმენით, ისე საშემსრულებლო, თეორიულ, შინაარსზე ორიენტირებულ აქტივობებზე, რაც ეხმიანება კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შედეგებს (მუსიკალური ნიმუშების აღქმა, გააზრება და ა.შ. შინაარსთან შესაბამისობაში; მუსიკალური მახასიათებლების გამოყენებით მოსმენილი ფრაგმენტების აღწერა, ასოციაციური კავშირების გაბმა და სხვ.). მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები ადაპტირებულია მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური შემოქმედებითი აქტივობები წარიმართება მცირე ჯგუფებად, რაც ზრდის ჩართულობასა და ხარისხიან უკუკავშირს თითოეული მოსწავლისთვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კლასი/კაბინეტის დატვირთვის ზღვრული რაოდენობა, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და ეფექტურ სამუშაო გარემოს. **რჩევები:** ▪ **სასურველია**, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე. ▪ **სასურველია,** გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე. ▪ მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. ▪ **სასურველია,** ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის. სკოლაში ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სწავლებისას, კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, მთლიანობაში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს მიზნობრივი, პრაქტიკული და მოტივირებულ

	სწავლისთვის, თუმცა განვითარებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია რესურსების რეგულარული განახლება და ტექნოლოგიების ინტეგრაცია ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე, რესურსებს , რომლებიც აქვთ შექმნილი ან შეძენილი, იყენებს სხვადასხვა მასწავლებელი. მათ აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლისთვის არის თანაბარი შესაძლებლობა, რომ ჩართული იყვნენ საგაკვეთილო პროცესში. გამოიკვეთა თანამშრომლობითი გარემო და იგრძნობოდა, რომ რესურსების, ასევე გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა დანერგილია. ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია და პასუხობს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო გარემო მოწყობილია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკურ განვითარებასა და პიროვნულ ზრდას. ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, კომპიუტერებით ელ საშუალებებით; ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, შესაბამისი სასკოლო სივრცით, საკლასო ოთახები შეძლებისდაგვარად მოწესრიგებულია და სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი

	ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე არის სადემონსტრაციო პლაკატები, მულაჟები და სხვა ვიზუალური საშუალებები. რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების ***ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სოფელ ობჩის პირველ სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციური ადამიანური რესურსი. სკოლა უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი (მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, სპეციალისტები), გარდა მუსიკის და ინგლისურის საათებისა, სადაც საგაკვეთილო საათების დროებით სხვა მასწავლებლები ითავსებენ. აღსანიშნავია, რომ სკოლაში საგან ფიზიკას (საგაკვეთილო საათების ნაწილი) და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლიან პედაგოგები, რომლებსაც მათემატიკაში აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *განხორციელებული შემოქმედებითი დავალების ნიმუშები;*
- *პირადი საქმეები;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა, სხდომის ოქმები;*
- *მატერიალური რესურსები;*
- *კლუბის განხორციელებული პროექტები;*
- *დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასევე პედაგოგოებთან საუბრისას ჩანს, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ დავალებების იდეები,რომელიც პასუხობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს.საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საგნობრივი მიმართულების კათედრის წევრი, პედაგოგოები , უზრუნველყოფენ კურიკულუმების მონიტორინგს ,რომელიც მომავალშიც გაგრძელდება და დინამიურ,რეგულარულ ხასიათს მიიღებს. გაზირების არეალი ჯერ იქნება კათედრების დონეზე ,შემდეგ სკოლის დონეზე. საგნობრივი მიმართულების კათედრები

გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და უზრუნველყოფენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მონაცემების ასახვას საბოლოოდ სკოლის დონეზე.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება გამოიყენება შემდგომი პროცესის დასაგეგმად და პროცესების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით სკოლაში ხდება გაკვეთილებზე დასწრება, დიაგნოსტიკური წერები, უკუკავშირის გაცემა, რომელიც ორიენტირებულია მხარდაჭერაზე და განვითარებაზე. სამივე საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, კათედრები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საგნების მიხედვით ერთობლივად, ერთმანეთის აზრისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქმნიან სამოქმედო გეგმებს, მუშაობენ კურიკულუმების ფორმირებაზე, განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს, თემის ფარგლებში საკითხებს და შემაჯამებელ და შემოქმედებით პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობაზე. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საკუთარი გამოცდილების ანალიზის და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, მათ აქვთ მზაობა იმოქმედონ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა ამისა, ხვეწენ საკუთარ პრაქტიკას და ზრუნავენ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მონიტორინგის მექანიზმი გაწერილია სკოლის ინდ. აქტით დამტკიცებული კურიკულუის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ანგრიშის ფორმები, რითაც ხორციელდება, მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას.

კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების სხვადასხვა ფორმები, როგორიცაა შემაჯამებლების ანალიზი, დიაგნოსტიკური წერები, ურთიერთ დასწრებები ქმნის შესაბამის გარემოს, სადაც როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა განიხილონ არსებული გამოწვევები და დაგეგმონ ინტერვენციული ნაბიჯები არსებული პრობლემებისა თუ გამოწვევების აღმოსაფხვრელად.

ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *მასწავლებელთა ყოველწლიური ანგარიშები;*
- *გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა.*
- *სკოლის თვითშეფასების ფორმა.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სოფელ ობჩის პირველ საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მოსწავლე არ ფასდება მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, რომლის განსახორციელებლადა დშესაძლებელი იქნება მრავალფეროვანი წყაროებიდან მიღებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის ორგანიზებულად განთავსება. ამ ფორმით წარმოდგენა გააადვილებს მონაცემებთა ანალიზისა და მათზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანის პროცესს. სასკოლო თემატური გეგმები გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, იყენებენ შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებს. სკოლაში სისტემატიურად გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

ინდიკატორი 2.3.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასება ხდება იმის გათვალისწინებით, მონაწილეობს თუ არა მოსწავლე სწავლების პროცესში, დისკუსიაში, ჯგუფურ ან ინდივიდუალურ მუშაობაში. ასევე მნიშვნელოვანია, ჩართულია თუ არა მოსწავლე არაფორმალურ აქტივობებში, კლუბურ მუშაობაში, სასკოლო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში და სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში. შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.**

წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და კათედრების მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირის, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას.
ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასების სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით განხორციელებას უზრუნველყოფს კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

პედაგოგთა ინტერვიურებიდან და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან,წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გათვალიწინებით შეიძლება დავასკვნათ,რომ კურიკულუმი გადაიხედება, მოხდება მისი გადასინჯვა საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილ კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რის საფუძველზეც მოხდება გადამუშავება. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები ,სადაც გათვალიწინებული იქნება სკოლის საჭიროებები და ხედვა.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე პედაგოგოებთან საუბრისას, მკაფიოდ იკვეთება, რომ საგნობრივ კათედრაზე, მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები,რომელიც პასუხობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საგნობრივი მიმართულების კათედრის წევრი, პედაგოგოები , მუდმივად უზრუნველყოფენ კურიკულუმების მონიტორინგს ,რომელიც მომავალშიც გაგრძელდება და დინამიურ,რეგულარულ ხასიათს მიიღებს. გაზირების არეალი ჯერ იქნება კათედრების დონეზე ,შემდეგ სკოლის დონეზე. საგნობრივი მიმართულების კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და უზრუნველყოფენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მონაცემების ასახვას საბოლოოდ სკოლის დონეზე.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი : 08.06.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დავით ჩივაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნესტან გიგაშვილი

ნინო აბესაძე

აკაკი სადუნიშვილი

ქეთევან ბერიძე



თამარ ძველაია

ნანა ნოზაძე

ლანა არახამია

თეონა აბრამიშვილი

ლია ნეფარიძე

ხათუნა გენდელიანი